საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი, 26 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 142 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 142

სახელმწიფო თეატრი

შაბათს, ივნისის 26-ს

## საღამო კომპოზიტორ სულხანიშვილის მუსიკისა

საღამოს გახსნის შესაფერ სიტყვით დამსახურებული მსახიობი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი.

1 ქართული ეროვნული ჰიმნი „ღმერთო ღმერთო" შესრულებს კაპელლა და სიმფონიური ორკესტრი. კომპ. არაყიშვილის დირიჟორობით.

II

1. ვ. კოტეტიშვილი: „უმზეო კომპოზიტორი", 2. კომპ. არაყიშვილი: „სულხანიშვილის ხსოვნას", 3. ალ. აბმეტელი: „მოგონება", 4. გ. ქუჩიშვილი: ლექსი „შენ სამარესთან", 5. ბაბო სულხანიშვილი: ბიოგრაფ.

III

1. „სულთა თანა": შესრულებს კაპელლა, 2. „მაშ გამარჯვება": შესრულებს კაპელლა, 3. „მესტვირული": შესრულებს კაპელლა. სოლოს შესრულებს ცნობილი ბარიტონი მღ. დ. სალარიძე. 4. „დაიგვიანეს" არია მწყემსისა ოპ. პატარა კახიდან, შესრულებს ივ. სარაჯიშვილი, 5. „ქლის მარტო დავრჩი" არია ირაკლისა ოპ. „პატარა კახიდან" შესრულებს მ. ნანობაშვილი, 6. „მო, ზუალო" უკანასკნელი ნაწარმოები—რომანსი განსვენებულისა შესრულებს ივ. ბიწკინაშვილი, 7. „წმინდაო ღმერთო" ტრიო ბბ. შაშიაშვილი, გარე-კახელი და გურჯაანელი, 8. „ტურფავ მოდი", პირველი ნაწარმოები განსვენებულისა ახალგაზდობაში—შესრულებს იგივე ტრიო, 9. „გუთნური"—სიმფონია შესრულებს კაპელლა. სოლოს შესრულებს ივ. ბიცკინაშვილი, 10. „სამშობლო ხევსურისა", შესრულებს კაპელლა. სოლოს ივ. ბიცკინაშვილი.

IV

1. აპოთეოზი—სცენა ოპ. „პატარა კახიდან" ქოშის მთაზე ალ. მაისურაძის გუნდი.

მთელი შემოსავალი გადიდება განსვენებულის ოჯახის სასარგებლოდ.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

ბილეთები დღეიდანვე გაიყიდება თეატრის კასაში.

(ნ. 2—2) საღამოს გამგე ალ. ახმეტელი.

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ნინო ივანეს ასული, ნინო ილიას ასული შვილებითა და მარიამ ლაზარეს ასული ლაზარეშვილები, ელენე ესტატეს ასული და ბარბალე ილიას ასული ზანდუკელიშვილები და ანა ილიას ასული ქურული გამოუთქმელის მწუხარებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ყაჩაღებისაგან საქართველოს სამხედრო გზაზე მოკვლას

**გრიგოლ (გრიშა) ლაზარეს ძე ლაზარიშვილისას**

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება სოფელ ანანურში შაბათს 26 ივნისს. (2052 1—1)

კვირას 27 ივნისს დანიშნულია 6 თვის წირვა და პანაშვიდი ს. ხამის წმ. გიორგის ეკლესიაში საყვარელი დედის

**ანნა ლუკას ასულის ნახუცრიშვილისა**

რასაც აუწყებენ ღრმათ დამწუხრებული შვილები, დავით, ლუბა და ნინო ნახუცრიშვილები, მარიამ ნეიმანისა და ეკატერინე ქაქრაშვილი.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე აგრაფინა ურუშაძე პატარა შვილით დარეჯანით, მონათლული ლადო და კეკელა ჩიკაშუები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ დაუვიწყარი პირველის მეუღლის, მეორეს მამის და მესამის ძვირფასი ნათლიას

**არჯევან ივანეს ძე ურუშაძის**

გარდაცვალებიდან 6 თვის შესრულებას, წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ნათლის მცემლის ეკლესიაში (ლანჩხუთი) დილის 11 საათზე 30 ივნისს. (2062 1—1)

გამგეობა თფილისის ხელოსანთა შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობისა ამით აუწყებს თავის წევრებს, რომ კვირას, 27 ივნისს დილის 10 საათზე, ხელოსანთა კლუბში დანიშნულია

## საზოგადო კრება

წლიური ანგარიშის და სხვა კითხვების გასახილავად. დანიშნულ ვადაზე კრება თუ ვერ შესდგა, იგივე კრება დაინიშნება იმავე დღეს და იმავე შენობაში 12 ს. დღისით, რომელიც ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც არ დაესწროს.

გამგეობა. (2037—1—1)

## ფრონტის დაშლილ მოხალისეთა მთავარი კომიტეტი

სთხოვს ყველა თავის წევრებს აუცილებლათ გამოცხადდენ სხდომაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, 27 ივნისს, დილის 10 საათ., სასახლეში, კვესტორის კაბინეტში. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) ანგარიში წარმოებულ მუშაობისა, 2) პრეზიდიუმის არჩევა, 3) ობლების დახმარება, 4) ომში გაწვეულთა ყანების დამუშავებაში ხელის შეწყობა, 5) შემოხული თხოვნები. (2061—1—1)

## დედათა და ბავშვთა მზრუნველობის კომიტეტი

ხსნის კოჯორში საზაფხულო

## პანსიონ-სანატორიას

ბავშვთათვის 7—12 წლამდე, სანატორიაში იღებენ აგრეთვე დედებს ძუძუ-მწოვარ ბავშვებით. პირობების გაგება შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა) ყოველ დღე დღის 1—2 საათამდე. (2056—1—1)

კვირას 27 ივნისს ქ. ქუთაისში დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა

## საზოგადო კრება

გასარჩევი კითხვები: 1. გამგეობის მოხსენება, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. მიმდინარე კითხვები, 4. გამგეობის წევრების არჩევა.

გამგეობა. (2003—2—2)

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

1) პარკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საერობო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინისტროდან. 2) როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემსყიდველები ვალდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ პარკის ოპერაციის საქმეებით. 3) მეაბრეშუმეს ფუთ პარკში პირველ ხარისხისაში ნედლში მიეცემა 3000 მ. მეორე ხარისხის პარკში—2800 მ. 4) პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარ რწმუნებულის პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით. 5) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ. 6) იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არ აქვთ დავალებული პარკის შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარკის ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული. 7) ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩამოერთმევათ უფასოთ. მიწათმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე.** მთავარი რწმუნებული **ს. ქუთათელაძე.** (ნ. 15—9)

## „ეშმაკის მათრახი" № 31

გამოვა დღეს შემდეგი შინაარსით: ბატონ კირილოვთან—თაგუნასი, სოვეტნიკები—ეშმაკისა, პატარა ფელეტონი—D-ესი, ლექსები—შექანჯალეპულისა, არ კომუნიზმი—ნესტარისა. კარიკატურები. ნებიერი ბავშვი, კომუნისტები თფილისში, უხვი საჩუქარი, კომუნისტრი მუშაობა, მოსკოვის სამხ. თეატრი და სხვ.

## ამიერ-კავკასიის ბანკი

## მესამე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმათ ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა საზოგადო კრების 1919 წ. 22 ივნისის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 6.000.000 მანეთიდან 15.000.000 მანეთამდე 36.000 აქციათა გამოცემით, თითო აქციის ოცდა ხუთი თუმნის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1) გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია ოცდა თორმეტი თუმანი თითო აქციაზე, რომელი თანხაც სრულიად უნდა გადახდილ იქნეს აქციაზე ხელის მოწერის დროს.

2) შემოსული ფულიდან: ოცდა ხუთი თუმანი ჩაირიცხება ძირითად თანხაში, ოთხი თუმანი სათადარიგო თანხაში და დანარჩენი სამი თუმანი აქციის დასამზადებლად ხარჯებისა და მისი საღერბო გადასახადის ასანაზღაურებლათ.

3) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა შეძენაში ეკუთვნის პირველი და მეორე გამოცემის აქციათა მეპატრონეთ: ორ ძველ აქციაზე დაეთმობათ სამი ახალი აქცია.

4) მესამე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა დაიწყება 1920 წლის 1 ივლისიდან და გაგრძელდება იმავე წლის 31 ივლისამდე ქვემოთ ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებში.

ა) თფილისში, ბათომში და ქიათურაში ამიერ-კავკასიის ბანკში.

ბ) ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში, სიღნაღში, გორში, თელავში, ხონში, სენაკში, ყვირილაში, ზუგდიდში, ოზურგეთში, საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში.

5) როდესაც ბანკის ძველი აქციონერები დაკმაყოფილებული იქნებიან სამი აქციით ყოველ ორ ძველ აქციაზე, გაუნაღდებელი აქციები განაწილდება ძველ აქციონერთა შორის, [illegible] თუ მესამე გამოცემის რამდენი აქციის შეძენა სურთ. თუ მათ მიერ მოთხოვნილი აქციათა საერთო რიცხვი აღემატება გაუნაღდებელი აქციათა რაოდენობას, იმ შემთხვევაში განცხადებების ძალით და ძველი გამოცემების წარმოდგენილ აქციების მიხედვით მოხდება აქციების პროპორციონალური განაწილება.

6) მესამე მუხლში აღნიშნული ვადის შემდეგ გაუნაღდებელი აქციები პროპორციონალურად განაწილდება თანახმად მათი განცხადებისა ძველ აქციონერთა და გარეშე პირთა შორის, რომლებმაც სათანადო ფული უნდა შემოიტანონ იმავე 1 ივლისიდან—31 ივლისამდე.

7) აქციებზე ხელის მოწერის დროს ძველი აქციონერები მოვალენი არიან წარმოადგინონ თავიანთი აქციები ცალკე განცხადებასთან შესაფერი ბეჭდის დასასმელად ან და სათანადო წარწერის გასაკეთებლად.

8) ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ აქციებს და განცხადებებს და აღნიშნულ ვადაში სრულიად არ გადიხდიან აქციათა ღირებულებას, მესამე გამოცემის აქციათა შეძენის უფლებას კარგავენ.

9) ახალი აქციები იღებენ მონაწილეობას 1920 წლის ბანკის მოგებაში (დივიდენდში) 1-ლი ივლისამდე.

10) აქციათა ფასების მიღებაში აქციონერებს მიეცემათ „კვიტანციები" რომლებიც ხელის მოწერის გათავებისა და აქციათა განაწილების შემდეგ შეიცვლება დროებითი მოწმობებით სანამ აქციები არ დაიბეჭდება. (2022—2—2)

მასწავლებელი

## ს. ა. გრიაზნოვი

იყვანს შეგირდებს მოსამზადებლად შემოდგომის გამოცდებისათვის. მისამართ. ვერა, იზმაილოვის შესახ. სახ. 6., ბინ. 8. (2019—3—2)

## ერის თვითგამორკვევა და კომუნისტები

სწამთ, თუ არა, კომუნისტებს ერის თვითგამორკვევა? ჩვენს გაზეთში არა ერთი და ორი ფაქტი აღნიშნულა იმის გამოსარკვევათ, თუ როგორ უყურებენ ამ საკითხს საბჭოთა რუსეთის მესვეურები. თავის დროზე ჩვენ მოყვანილი გვქონდა ლენინის აზრი უკრაინის თვითგამორკვევაზე. ლენინი აღიარებდა არა ერის თვითგამორკვევას, არამედ **„მშრომელი ხალხის თვითგამორკვევას"**. ამავე პოზიციაზე იდგა ჩიჩერინი ადერბეიჯანის მიმართ: მის ნოტებშიაც რამდენჯერმე იყო ხაზგასმული „მშრომელი ხალხის თვითგამორკვევა" და არც ერთხელ არ იყო ნახსენები „ერის თვითგამორკვევა". თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ ორ ცნების შუა ის უბრალო განსხვავებაა, რომ „მშრომელ ხალხის თვითგამორკვევაში" არავითარი ეროვნული თვითგამორკვევა არ არის: როდესაც ერთი სახელმწიფო მეორეს ეუბნება, მე მწამს მხოლოდ შენი **„მშრომელი ხალხის** თვითგამორკვევაო", ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მის შინაურ საქმეებში ერევა, იგი აიძულებს მას ჯერ საბჭოთა წესები შემოიღე, მერე თვითგამორკვევის საკითხი დააყენეო. მეორე წინააღმდეგობა, რომელსაც შეიცავდა ლენინ-ჩიჩერინის „თვითგამორკვევა" მდგომარეობს შემდეგში: ისინი ერთის მხრით აღიარებენ უკრაინის და ადერბეიჯანის სრულს თავისუფლებას, მეორე მხრით კი ამ „თავისუფლებას" ისინი საბჭოთა რუსეთთან „ფედერატიულ კავშირის" ჩარჩოებში ათავსებდნენ.

არსებითად საბჭოთა რუსეთის მესვეურნი ერის თვითგამორკვევას არ სცნობდენ, ან ცნობდენ მხოლოდ ცალკე შემთხვევებში, გამონაკლისის სახით, როცა დასჭირდებოდათ.

ამავე პოზიციაზე იდგნენ რასაკვირველია, ჩვენებური კომუნისტებიც; მათ საერთოდ თავისი აზრი არც ერთ საკითხზე არა ჰქონიათ და ისინი მუდამ მონურად იმეორებენ, რასაც მოსკოვში იტყვიან ლენინ-ტროცკი-ჩიჩერინი. ამ საკითხშიაც ჩვენებური კომუნისტები იმ აზრის იყვნენ, რასაც მოსკოვში გაიგონებდენ. ერის თვითგამორკვევა მათ თვალში მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო მისაღები, როდესაც ისინი დარწმუნდებოდენ, რომ ამ თვითგამორკვევის ნაყოფი იქნება საბჭოთა რუსეთის სუვერენიტეტის ცნობა. ამავე საზომით ზომავდენ ისინი საქართველოს თვითგამორკვევის უფლებასაც; რადგანაც სრულიად აშკარა იყო, რომ ეს თვითგამორკვევა დამოუკიდებლობის აღიარებას უდრის, ჩვენებური კომუნისტები გაავთრებით იბრძოდენ როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის, ისე თვითგამორკვევის წინააღმდეგ.

მაგრამ დღეს თვით საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს თვითგამორკვევის და დამოუკიდებელ არსებობის უფლება. ოფიციალურად, სიტყვით ჩვენებური ბალშევიკებიც იძულებულნი გახდენ აღიარონ ეს პრინციპი. საქმით კი დღეს ისინი ცდილობენ თვით ეს პრინციპი გამოიყენონ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

„კომუნისტის" უკანასკნელ ნომერში სწორეთ ამ საკითხზეა საუბარი. გაზეთი დღეს ეხება საქართველოში მცხოვრებ არა ქართველ ერთა თვითგამორკვევის უფლებას და შემდეგ დასკვნაზე მიდის:

„ჩვენ საბოლოვოთ ვაღიარებთ ყველა იმ ერთა თვით-გამორკვევის უფლებას, რომლებიც საქართველოს ფარგლებში ბინადრობდენ და ეს თვითგამორკვევა გვესმის როგორც სრული უფლება ამა თუ იმ ერისა ისე მოაწყოს თავისი საქმე, როგორც მას სურს, ე. ი. სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდე და საკუთარი სახელმწიფოს დაარსებამდე".

ამნაირათ ჩვენებური ბალშევიკები, რომლებიც გუშინ გაავთრებით ებრძოდენ ქართველ ერის თვითგამორკვევას, დღეს საჭიროთ სთვლიან უდავო პრინციპათ მიიჩნიონ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მცირე ერების თვითგამორკვევა. რას ნიშნავს ეს?

ჩვენი აზრი ერის თვითგამორკვევაზე მარტივი და ადვილი გასაგებია. ერის თვითგამორკვევა ჩვენც უდავოთ მიგვაჩნია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ასევე უდავოთ ვთვლით ერის ყოველივე **ნაწილის** თვითგამორკვევას იმ შემთხვევაში, როდესაც **მთელი ერის** თვითგამორკვევა უპირისპირდება სხვა ერის **ნაწილის** თვითგამორკვევას, ჩვენ, რა თქმა უნდა, მთელს მხარეზე ვიქნებით, და არა ნაწილის. წარმოიდგინეთ, რა გამოვა ბალშევიკების დღევანდელს გულგაშლილობას რომ მივყვეთ და საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ ყველა ერთა თვითგამორკვევა ვიწამოთ:- გრძელი ახსნა არ უნდა, რომ ასეთი თვითგამორკვევა სხვა ერთა [illegible] იქნებოდა საქართველოს მთავარ ერის თვითგამორკვევისა. მაშასადამე ჩვენებური ბალშევიკების პოზიცია საქართველოს თვითგამორკვევის საკითხში არსებითად არ შეცვლილა: ყველა ერების წვრილ-წვრილ ნაჭრების თვითგამორკვევის ცნობით ისინი ისევ წინანდებურათ ეწინააღმდეგებიან ქართული ერის თვითგამორკვევას და ამით წინანდებურათ ძირს უთხრიან მის დამოუკიდებლობას.

## პარტიული ყრილობა

I

მეტად მძიმე და ძნელ პირობებში შეიკრიბა ჩვენი პარტიის მეორე ყრილობა. ირგვლივ ფრონტი, შიგნით აქაიქ შიმშილობა, დრო თესვისა და საოჯახო მუშაობისა—ყოველივე ეს ქმნიდა იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც მუშაობდა ყრილობა.

მეორეს მხრით, სწორეთ ასეთ საბედისწერო მომენტში იყო საჭირო პარტიის ყრილობა, სწორეთ ახლა უნდა გამოჰქდილიყო პარტიის კოლექტიური ნება და შეხედულება კარდინალურ საკითხზე, გადაევლო თვალი გავლილი ეტაპებისათვის, აღენიშნა შეცდომები, გაეთვალისწინებია მომავალი, გაეწმინდა გზა წინ სავალი და ასე ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ საქმიანობისათვის მიეცა ის მიმართულება, რომელიც საფუძვლათ დაედება განახლებული ქვეყნის წინმსვლელობას. მართალია, ეს საფუძველი დიდი ხანია აღნიშნა და ჩამოაყალიბა პარტიამ, მაგრამ ისეთ რთულ და მძიმე პირობებში, რომელშიაც უხდებოდა პარტიას ქვეყნის ხელმძღვანელობა, არ შეიძლება არ მომხდარიყო აქა-იქ გადუხვევა სწორი ხაზისა და აქედან ესა თუ ის შეცდომები პრაქტიკულ საქმიანობაში. ესეც რომ არ ყოფილიყო, ამ ორი წლის განმავლობაში იმდენი რამ გააკეთა პარტიამ, რომ ამ მუშაობის შემდეგი პრაქტიკული განვითარება იმდენათ სერიოზულ და კოლექტიურ აზროვნებას ითხოვდა, რომ მისი გადაჭრა და ყოველმხრივი დამუშავება აუცილებლათ ითხოვდა ყრილობის მოწვევას.

მთელი ათი დღე მუშაობდა ყრილობა და ამ ხნის განმავლობაში ის სამართლიანად იპყრობდა მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღებას. მთელი ქვეყნის—ვამბობთ ჩვენ, რადგან ჩვენი პარტია რომელიც სათავეში უდგია მთელ ჩვენ ცხოვრებას, აძლევს ტონს და მიმართულებას მის პოლიტიკურ—სოციალურ საქმიანობას. ცხადია, მის ასეთ თუ ისეთ დადგენილებაში დაინტერესებულია არა მარტო პარტია, არამედ მთელი ხალხი, მთელი რესპუბლიკა. ამიტომ, სრულიად ბუნებრივი და ადვილი გასაგებია ის ყურადღება, რომელსაც იჩენდა ყრილობის მუშაობისადმი ფართო საზოგადოება.

პარტიული ამხანაგებისათვის ყრილობის მუშაობას კიდევ მეტი მნიშვნელობა ქონდა. ყველა ის საკითხები, რომელიც პირველი ყრილობის შემდეგ წარმოსდგა და პარტიის ზოგიერთ წრეებში სხვა და სხვა შეხედულებას იწვევდა—დღეს უკვე გარკვეული და ყველასათვის სავალდებულოა.

მართალია, ზოგიერთი საკითხები ხშირად მწვავე შეხლა-შემოხლას იწვევს რაიცა ზოგიერთებს საბუთს აძლევდა პარტიის გაყოფაზე მითქმა-მოთქმისა, მარა ეს მოლოდინი ყრილობამ არ გაამართლა და მით დაამტკიცა თუ რამდენათ ძლიერია პარტიის წევრებში გრძნობა პასუხის მგებლობისა ჩვენი ხალხის და ისტორიის წინაშე. ყრილობამ ამოსწურა ყოველივე სადავო საკითხები, ყოველგვარი გაუგებრობა შიგნით პარტიაში და ასე ამ მუშაობიდან პარტია გამოვიდა გამაგრებული ორგანიზაციულათ, ჩამოყალიბებული აზრით და შეხედულობით, გამხნევებული გავლილი მუშაობის შედეგებით და აღფრთოვანებული პარტიის ენერგიით და ერთსულოვნობით საბოლოო მიზნებისაკენ მისწრაფებაში.

ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუციები ნათლად და მკაფიოთ აღნიშნავენ ჩვენი ცხოვრების სავალ გზას და, ეჭვი არაა, ჩვენი პარტია ერთხელაც არ [illegible] მით პირნათლათ მოიხდის ჩვენი ხალხის წინაშე იმ მძიმე მოვალეობას, რომელიც მას ისტორიამ დააკისრა.

როგორია ეს რეზოლიუციები და რას მოითხოვენ ისინი?

გაბი.

## უკრაინის მდგომარეობა

ამ სამი წლის განმავლობაში უკრაინის ტერიტორიაზედ ათჯერ მოხდა გადატრიალება და მისი დედა ქალაქი კიევი გადადიოდა ხელიდან ხელში. ჩვენის აზრით, ეს პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა და იქ კიდევ დიდხანს გაგრძელდება სამოქალაქო ომი. უკრაინის კომუნისტები ეყრდნობიან უმთავრესად მოსკოვის შეიარაღებულ ძალას. ხოლო ეგრედ წოდებული პატრიოტები დღეს პოლონეთის დახმარებით სცდილობენ საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებას. ადგილობრივ კომუნისტებს ერთნაირი სიმპატია აქვთ მოპოვებული რუს მუშებში, რომელიც პროლეტარიატის უმრავლესობას შეადგენს, ხოლო პეტლიურას მიმდევრებს უკრაინულ მესაკუთრე გლეხებში, რომელნიც საგრძნობ ძალას წარმოადგენენ. ბრძოლა მუშებს და გლეხებ შორის ღებულობს ნაციონალურ სახეს და ამას ვერავითარი დეკრეტით ვერ მოსპობ. ეს ორი ძალა—გლეხები და მუშები—ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეათანხმა და საერთო გეგმა ვერ გამოუნახა. ბოლო დროს ამას ცდილობენ კომუნისტები, მაგრამ იმდენად გაუბედავად, რომ შესამჩნევ შედეგებს ვერ აღწევენ. მარტო შინაური ძალებით ვერც კომუნისტები დაამარცხებენ ეგრედ წოდებულ პეტლიუროველებს და უკანასკნელნიც ვერ მოერევიან თავიანთ მოწინააღმდეგეს. უცხო, მოსულ ელემენტების დახმარება კი უსასტიკეს სახეს აძლევს სამოქალაქო ომს და საბოლოოდ ანადგურებს უკრაინის მეურნეობას. ამას ზედ ერთვის უკრაინის ტიპიური მოვლენა—მახნოს ბანდების დაუსრულებელი თარეში, რომელიც დაპატრონებია სრულიად უპატრონოდ დარჩენილ მაზრებს და ქალაქებს და ძარცვს ავლებს მცხოვრებთ. სამოქალაქო ომი უკრაინაში გაგრძელდება იქამდის, სანამ რომელიმე პარტია ვერ გამონახავს საერთო ენას ორ დიდ ძალის—მუშებს და გლეხებ შორის.

ბ. თეკლათელი.

## საბჭოთა რუსეთში

„წვრილ ბურჟუაზიული ძალდატანება" როსტოვში. „საბჭოთა კავკასიის" 3 ივნისის ნომრის ცნობით ოლქში მგზავრობიდან როსტოვში დაბრუნებუ-

# დღეს

**ბოლშევიკურ ცნობის თანახმათ ლლოიდ ჯორჯი ბულონის კონფერენციაზე მომხრე ყოფილა რუსეთთან პოლიტიკურ დამოკიდებულებათა აღდგენის. მილიერანი კი მოითხოვდა მხოლოთ ეკონომიურ დამოკიდებულებათა აღდგენას.**

**იმათ ცნობების თანახმათ უნგრეთში მთავრობა გადამდგარა; საბერძნეთში სახელმწიფო გადატრიალება მზადდება.**

გენერალური შტაბის ცნობები.
**25 ივნისი.**

**ყველა მიმართულებებზე სიწყნარეა.**

ლი ინსტრუქტორები იტყობინებიან, რომ ოლქში პროფესიონალური მოძრაობის ჩანასახი არის მხოლოდ. გაზეთის აზრით, საჭიროა „წვრილ ბურჟუაზიულ ძალდატანების“ ლიკვიდაცია, რომ ამით კავშირები დაუახლოვდნენ მუშათა მასსებს.

**კომუნისტების რაზმი ეპიდემიის წინაალმდეგ.** რუსეთის კომუნ. პარ. სამარის საგუბერნიო კომიტეტმა შეადგინა ეპიდემიის წინაალმდეგ მებრძოლი რაზმი კომუნისტებისაგან, რომელიც გადასცა სამარის განსაკუთრებულ სანიტარულ კომისიას. ამ რაზმის მოვალეობას შეადგენს ინტენსიური მუშაობა ეპიდემიურ ფრონტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და საშიშ პუნქტებში. („პრავდა“).

**ჩიჩერინის პროტესტი.** ჩიჩერინმა მიჰმართა პროტესტით ავსტრიის მთავრობას იმის გამო, რომ იგი სისტემატიურათ ჰგზავნის პოლონეთში იარაღს. საბჭოთა მთავრობა აქცევს ავსტრიის მთავრობის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ამნაირი მოქმედებანი აიძულებენ მას მიიღოს სათანადო ზომები, რომლებსაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა რუსეთში და უკრაინაში მყოფ ავსტრიელ ოფიცრების ბედზე. ამგვარ მოქმედებას შეუძლია ტყვეების გაცვლის შეჩერებაც. ასეთივე პროტესტით მიმართა ჩიჩერინმა ჩეხო-სლოვაკიასაც.

**„დამნაშავეა თუ არა ორთქლმავალი?“** ამ სათაურით „იზვესტიაში“ მოთავსებულია ი. ვეგერის სტატია. ავტორი იკვლევს ტრანსპორტის მოშლის ერთ მთავარ ფაქტორს—ორთქლმავალების რიცხვის შემცირებას, და ბოლოს მიდის იმ დასკვნამდე, რომ ორთქლმავალები აქ არაფერ შუაშიაო. საერთო რიცხვი ორთქლმავლებისა 1918—19 წ. თითქმის იმდენივე ყოფილა, რამდენიც წინა წლებში; სამაგიეროთ შემცირებულა 59%-ით საერთო მანძილი, განვლილი მატარებლების მიერ. მაშ, ტრანსპორტის მოშლის ერთი მთავარი მიზეზი ყოფილა ის, რომ თვითეული ორთქლმავალი თითქმის ორჯერ ნაკლებ მანძილს გადიოდა, ანუ ორჯერ ნაკლებს მუშაობდა წინა დროსთან შედარებით. ამ რიგათ, ავტორის აზრით, შემცირდა აგრეთვე ტვირთების გადატანა, მიმოსვლა მგზავრებისა და სხვა. ავტორი ათავებს იმით, რომ საჭიროა სხვა მიზეზების ძებნა და არ შეიძლება ყველაფრის მიზეზათ ორთქლმავალი გამოვიყვანოთო.

**აბანოების კვირა** „პრავდაში“ შემდეგი განცხადებაა მოთავსებული: განსაკუთრებულ სანიტარულ კომისიის ცნობით „აბანოს კვირის“ განმავლობაში აბანოებში იბანავა სულ 160,000 კაცმა. აბანოები მხოლოთ პარასკევს ვერ იტევდა მსურველებს. საზოგადოებრივ აბანოების გარდა მცხოვრებლებისა 20% სარგებლობდა „დამკომების“ აბანოებით. ამგვარათ 11 აპრილისათვის იბანავა მცხოვრებთა 70%-მა. მცხოვრებლებმა აღძრეს თხოვნა „აბანოს კვირის“ განგრძობის შესახებ, რათა დანარჩენებსაც საშუალება მიეცეთ ტანის დაბანისა.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)
25 ივნისი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**აგიტატორები პოლონეთის ფრონტზე.**

**ბრიანსკი.** ივნ. 22. პოლონეთის ფრონტისათვის მოსამზადებელ აგიტატორების კურსებში მეცადინეობა დასრულდა. სოფლებში დაგზავნეს ექსკურსანტები მცხოვრებთა შორის აგიტაციის გასაწევად.

**შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა, ჩინეთი და რუსეთი.**

**ვერხნე-უდინსკი.** შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჩინეთის წარმომადგენელს წერილით მიმართა და გამოსთქვა სურვილი, რათა ორივე რესპუბლიკებს შორის კეთილ მეზობლური განწყობილება დამყარდეს.

გარეშე საქმეთა კომისრის ჩიჩერინის განცხადების შემდეგ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი ჰფიქრობს ამ ახლო მომავალში მოიწვიოს კონფერენცია დაინტერესებულ რესპუბლიკებისა: ჩინეთის, რუსეთისა და შორეულ აღმოსავლეთის.

ჩინეთის ჟურნალისტების საბჭო საბჭოთა რუსეთში თავის წარმომადგენლებს გზავნის იმ მიზნით, რომ ადგილობრივად გაეცნოს საქმის მდგომარეობას.

**რუსეთის საკითხი ბულონის კონფერენციაზე.**

**ნაიდენი.** ივნ. 23. ბულონის კონფერენციაზე ლოიდ ჯორჯმა სურვილი გამოსთქვა საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. მილიერანი კი მომხრე იყო მხოლოდ ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენისა მანამდე, სანამ საბჭოთა რუსეთი თავის თავზე არ მიიღებს ძველი რუსეთის ვალების გადახდას.

**ტოკიოელების პარლამენტი.**

**ვლადივოსტოკი.** ივნისის 10. ტოკიოელების ...(გამოტოვებულია)... დროებითი მთავრობა პარლამენტს იწვევს.

**ბრძოლა ბანდიტებთან.**

**ხარკოვი.** ივნისის 23. პოლტავის მაზრაში ბანდიტებთან ბრძოლა სწარმოებს ბრძოლაში გლეხები პირდაპირ მონაწილეობას იღებენ. შრომის კომიტეტმა მშენებელ და მკეთებელ მუშების მობილიზაცია გამოაცხადა.

**სამხედრო ცნობა.**

**მოსკოვი.** 24 ივნისი. მოზირის მიმართულებით ჩვენი ჯარები მკაცრი ბრძოლით ამარცხებენ მოპირდაპირეს, რომელიც მკაცრ თავდაცვაზე გადავიდა. ჩვენი ერთი რაზმის სწრაფი შეტევით აღებულია სოფელი ბორსუკი, რომელიც მოზირის აღმოსავლეთით 120 ვერსზე მდებარეობს. შეტევა გრძელდება. პროსკუროვის მიმართ. ჩვენმა ნაწილებმა ქალაქი ლეტიჩევი აიღეს და ქალაქ ლიტიჩევის აღმოსავლეთით 10 ვერსზე ბრძოლას აწარმოებენ. ყირიმის მიმართულებით მელიტოპოლ-ალექსანდროვის რკინის გზის რაიონში ჩვენმა ჯარებმა, გადავიდენ რა შეტევაზე, მკაცრი ბრძოლის შემდეგ სოფელთა მთელი წყება დაიკავეს. როსტოვის საბჭოების საოლქო ყრილობამ გადაჭრილი გადაწყვეტილება მიიღო დაეხმაროს საბჭოთა რუსეთს პოლონელებთან ბრძოლაში.

**რუმინეთში, ბულგარეთში და სერბიაში.**

რუმინეთში სერიოზული მღელვარება დაიწყო, გაკეთებულია ბარიკადები. აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოუშვეს ჯავშნოსანი ავტომობილები ტყვიის მფრქვეველებით და სახელმწიფო გვარდია. ბულგარეთში განკარგულება გამოსცეს, რომ იმ პირებმა, რომლებსაც განსაზღვრული საქმე არ აქვთ დასტოვონ საზღვრები. ეს ზომა უმთავრესად რუს ლტოლვილებს ეხება. სერბიის მთავრობა უფრო აშკარად ებყრობა მათ. რუს ლტოლვილებს არა მარტო აკრძალული აქვთ სამხრეთ სლავიაში შესვლა, არამედ აკრძალული აქვთ ამ ქვეყნებზე გავლაც კი.

**უნგრეთის მთავრობის გადადგომა.**

უნგრეთის მთავრობა გადადგა.

**მღელვარება ვიურტენბურგში.**

ვიურტენბურგის რამდენიმე ქალაქში ცხოვრების გაძვირების გამო მღელვარება დაიწყო. პოლიციასთან ბრბოს შეტაკების დროს რამდენიმე დაიჭრა და მოკვდა.

**გადატრიალება საბერძნეთში.**

საბერძნეთში სასახლის გადატრიალება მზადდება. მოსალოდნელია, რომ ტახტი კონსტანტინეს დაუბრუნდეს, დაიჭირეს მრავალი ოფიცერი.

**ფრანგული ცნობები.**

**ბულონის კონფერენციის დახურვა.**

ბულონის კონფერენციამ თავისი მუშაობა საშაბათს დაასრულა.

**ნახშირის წარმოება.**

საფრანგეთში ნახშირის დამუშავება ინტენსიურათ ვითარდება. მუშაობა ოდნავათ შეჩერდა აფეთქებულ და წყლით გავსებულ მაღაროში. ამათ აღსადგენათ საჭიროა რამდენიმე ხანი, მაგრამ მომავალი წლის გაზაფხულზე მათი ექსპლოატაციაც დაიწყება. უნდა ვიფიქროთ, რომ ნახშირის შოვნა ყოველ წლივ 2,000,000 ტონს მიაღწევს საერთოთ ქვანახშირის მაღაროების მდგომარეობა იძლევა ბრწყინვალე იმედებს მომავალში, მაგრამ ძლიერ შორეულ მომავალში.

**ფერენბახის კაბინეთის პოზიციისთვის.**

„პტი პარიზიენი“-ის ცნობით კანცლერი ფერენბახი განაგრძობს თანამშრომლების ძიებას. ბერლინში ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ფერენბახის კაბინეტი სოციალდემოკრატების ნდობის დამსახურებას შესძლებსო.

**საზავო ხელშეკრულება ავსტრიასთან.**

სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ ოთხშაბათს, მოისმინა რა მოხსენება ავსტრიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ, მოიწონა ხელშეკრულება და მომხსენებელს დაავალა იგი ეროვნული ყრილობის ბიუროში წარადგინოს.

**მოკავშირეების ელჩები გერმანიაში.**

ბულონში გამოტანილ გადაწყვეტილების გამო, რომ გერმანიაში 1 ივლისიდან მოკავშირეებმა იყოლიონ ელჩები, საფრანგეთმა დანიშნა გერმანიაში შარლ ლორანი, ინგლისმა—ლორდ აბერტონი და იტალიამ დე-მარტინო.

**კონტრიბუციის გარშემო.**

ბრიუსელში კონფერენციაზე, რომელსაც მიზნათ აქვს გერმანიის კონტრიბუციის განაწილება, იაპონია წარმოდგენილი იქნება ვენგო-მოზის სახით, რომელიც ფინანსიურ აგენტათ იმყოფება პარიზისა და ლონდონის ელჩებთან. სიძნელენი, რომელიც მოკავშირეთა კომისიებს ხვდება გერმანიაში, ზემო-სილეზიის ამბები ახლო ხანში პალატინატში მომხდარი გაფიცვები ააშკარავებს მოქმედებას ზოგიერთი აგიტატორისას, რომელთა მოღვაწეობა ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა დამოუკიდებელ სოციალისტების ამ ორგანომ პალატინატში მომხდარ გაფიცვების გამო, რომელიც უკვე დასრულდა და რომელმაც წყნარად ჩაიარა, დასწერა წერილი, რომელმაც ლიუდვიგს ჰაფენის მუშაობა წრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

# ტფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

ივნისის 25.

**პარიზი.** ალბერტ ლონდრი გაზეთ „ფიგაროში“ მოთავსებულ წერილ „პეტროგრადში“ პეტროგრადის ცხოვრების შესახებ შემდეგს იუწყება: „მე რამდენიმე ხანი დავყავი რუსეთის ყოფილ სატახტო ქალაქში და ამიტომ ვწერ პირადათ ჩემ შთაბეჭდილებებს. სახლები ისეა დასვრილი, რომ არ არის საშუალება წინანდელი ძვირფასად მოწყობილი ბინები გაარჩიო. ბანკები, სასტუმროები, რესტორანები ყაზარმებად და გოსპიტლებად არის გადაქცეული. ლიონის კრედიტი შეშის სარდაფად არის გადაქცეული. ნევის პროსპექტი საუკეთესო ილიუსტრაცია არის იმ საშინელების, რომელიც პეტროგრადში მეფობს.

ქალაქის 700 ათასი მცხოვრები ერთზე ოცნებობს—საჭმელზე. მშიერი და დაღლილნი დაეხეტებიან ქუჩებში და უცდიან, როდის მიიღებენ საჭმელს საზოგადო სასადილოებიდან. აქ ეს ადამიანები, რომლებიც მხეცებს დამსგავსებიან, ხარბად შეექცევიან საჭმელს. ადამიანი პეტროგრადში თავისი მახლობელისათვის მგელად გადაქცეულა. ფასი სურსათზე შემდეგია: კვერცხი—250 მან., ლიტრა რძე 900 მ., გირ. ერბო—3000 მ., შაქარი—2.600 მ. პური 300 მ. პირებს, რომლებიც დიქტატორებთან სამსახურში არ ირიცხებიან და რომლებსაც შიმშილით სიკვდილი არ უნდათ, ერთი გზა დარჩენიათ — გამოიკვებონ საბჭოთა ულუფით.

# უკანასკნელი ცნობები

**შეთქმულება რესპუბლიკის წინააღმდეგ.**

სოხუმში ადგილობრივ მთავრობის მიერ აღმოჩენილ იქმნა შეთქმულება რესპუბლიკის წინააღმდეგ. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდენ კომუნისტები კუხალეიშვილი, ვიგრიანოვი და სვანიძე. აღმოჩენილია ბევრი ბომბები და ასაფეთქებელი ნივთიერება. შეთქმულები დატუსაღებულნი არიან. სწარმოებს გამოძიება. დაწვრილებით ცნობები შემდეგ იქნება გამოქვეყნებული. (სდს.).

# ახალი ამბები

**საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრ. კომ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში აირჩიეს:** თავმჯდომარეთ—ამხ. ის. რამიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგათ—ამხ. ვ. ცაბაძე და მდივნათ ე. სირბილაძე.

◆ **სამაზრო ერობაში** თფილისის სამაზრო ერობას სართიჭალაში ბალბიანში აქვს გასასყიდი საუკეთესო ჯიშის პამიდორის ჩითილი. მისამართი: სოფ. სართიჭალა, სანერგის გამგეს.

თფილისის მაზრის ერობის აგრონომიულ განყოფილებას ესაჭიროება სამსახურში აგრონომები, მანტიორები, დღიური მუშები და სამეურნეო მანქანების გასაქირავებელი პუნქტის გამგე. ყოველივე ცნობებს ამის შესახებ აძლევს აგრონომიული განყოფილება.

◆ **კოოპერატიული კანონი.** ამიერკავკასიის კოოპერატიულ ყრილობაზე იმუშავებენ საერთო კოოპერატიული კანონის პროექტს, რომელიც კოოპერაციის ცხოვრებას მოაწესრიგებს. უკანასკნელ ხანამდე მოქმედებს დროებითი მთავრობის 1917 წ. 20 მარტის კანონი. ეხლა ამ კანონს იხილავენ დეტალურად. კანონის შეცვლა უმეტეს ნაწილად დასახულია კოოპერატივის განსაზღვრასა და რეგისტრაციის წესრიგში. ამასთან ერთად კოოპერატივთა ყრილობა თათბირობს საქართველოში მომხმარებელი კოოპერაციის მომავალ არსებობის შესახებ.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ქსელი.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ გამოიმუშავა ანგარიშები, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების საქმის დაყენებას ახასიათებს. ამ ანგარიშის თანახმად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან გახსნილია 8 ახალი განყოფილება. ამ ჟამად ფოსტა-ტელეგრაფის მართველობა ზომებს ღებულობს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ქსელის გასაფართოებლად.

◆ **ნავთეულობის აღნუსხვა.** თანახმად გენერალ-გუბერნატორის განკარგულებისა ბენზინი და ნავთის ყველა ნაწარმოებნი ქ. თფილისის ტერიტორიაზე მიღებულია ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების მიერ აღნუსხვისათვის. ის პირნი და დაწესებულებანი, რომელნი გადამალავენ აღნიშნულ ნაწარმოებთ სასურსათო განყოფილების ნებადაურთველათ გასასყიდათ, სასტიკათ დაიზჯებიან. განცხადება ზემოხსენებულ ნაწარმოებთა აღნუსხვისათვის მისაღებათ სასურსათო განყოფილების მიერ (სათბობ მასალის ბიურო.) მიიღება ყოველ დღე 8-დან 2 საათამდე. (შტაბის და დამფუძნებელ კ. ქ. კუთხე).

◆ **ქალაქის გამგეობაში.** ქალაქის გამგეობის წევრმა პანიევმა განკარგულება მისცა სავაჭრო-სასურსათო ზედამხედველობას—რომ პასუხისგებაში მისცენ იმ საკანდიტეროების პატრონები, რომლებიც განაგრძობენ საკანდიტერო ნაწარმოების გამოცხობას, წინააღმდეგ მთავრობის დადგენილებისა.

◆ **პედაგოგიური კურსები.** 1 ივლისიდან დ. თიანეთში ერობის გამგეობის მიერ იხსნება მოკლევადიანი პედაგოგიური კურსები. კურსებზე მიიღება მსმენელები 4 კლასის კურს დამთავრებულნიც. ერობა აძლევს სტიპენდიას იმათ, ვინც მიიღებს თავის თავზედ ვალდებულებას იმსახუროს თიანეთის მაზრაში 3—4 წელი. თხოვნები მიიღება თიანეთში გამგეობის თავმჯდომარე ვლ. პაპავას სახელზე. პირობების გაგება შეიძლება დეპეშით.

◆ **ფრონტისთვის.** ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტმა ბორჩალოს თათრებისაგან ფრონტის საჭიროებისათვის შემოწირულებათ მიიღო ფული და 31 ფუთი ყველი და ხუთი ფუთი კარაქი.

— კვირას, დილის 11 საათზე, სასახლეში დანიშნულია კომიტეტის სხდომა, განსახილველია მნიშვნელოვანი საკითხები.

— ამ დღეებში წნორის წყლის მიმართულებით მთავარი კომიტეტი გზავნის საჩუქრების ტრანსპორტს.

— დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ თავის წარმომადგენლათ მთავარ კომიტეტის წევრათ აირჩია ნიკ. იმნაიშვილი, პროფესიონ. კავშირებმა ფანცხავა, ხოლო ჯარისაგან პოლკ. ტ. ართმელაძე.

— მთავარ კომიტეტის წინაშე დასახიჩრებულთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა, რათა კომიტეტმა გამოიღოს თანხა მათი წარმომადგენლის გასაგზავნათ ევროპაში ყველა ქვეყნის ინვალიდთა კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ.

◆ **კომპოზ. სულხანიშვილის მუსიკის საღამო.** დღეს 26 ივნისს, სახელმწიფო თეატრში პირველად იმართება საღამო განსვენებულ კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის მუსიკისა. საღამოზე შესრულებულ იქნება მხოლოდ განსვენებულის ნაწარმოებები. კაპელლა შეასრულებს მის თხზულებებს, რომელიც გუნდისთვისაა დაწერილი. პირველად „ოპერა კახიდან“ შესრულებულ იქნება არიები მწყემსისა „დაიგვიანეს“—ივ. სარაჯიშვილის მიერ და არია ირაკლისა „ძლივს მარტო დავრჩი“ მ. ნანობაშვილის მიერ. აგრეთვე განსვენებულის უკანასკნელი თხზულება—რომანსი „მოზუალო“. განსვენებულის ქართული ეროვნული ჰიმნი „ღმერთო ღმერთო“ პირველად შესრულებულ იქნება სიმებიან ორკესტრით. მთელი შემოსავალი გადაიდება განსვენებულის ოჯახობისათვის.

◆ **შავი ქვის მომარაგება.** მომარაგების სამინისტროს ცნობით ჭიათურის და ფოთის საწყობებში ამ ჟამად 50 მილიონი ფუთი შავი ქვა ინახება. აქედან გარეცხილი 10—15 მილიონი ფუთი. რამდენიმე გემი უკვე დატვირთულია შავი ქვით და მომარაგების სამინისტრომ უკვე გაგზავნა საზღვარ-გარეთ რათა ეს ევროპისათვის აუცილებელი საქონელი გასცვალონ პურზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე, მედიკამენტებზე და მანუფაქტურაზე. მოკლე დროში კიდევ რამდენიმე გემს დატვირთავენ ევროპაში გასაგზავნათ.

◆ **შრომის ბირჟის კონფერენცია.** შრომის სამინისტრო მოკლე დროში საქართველოს შრომის ბირჟების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევას ფიქრობს. კონფერენციამ შემდეგი საკითხები უნდა განიხილოს: 1) მოთხოვნილებისა და შრომის წინადადების მოწესრიგება, 2) ცენტრალური შრომის ბირჟის საარ სება, 3) არსებულ რეგისტრაციის სისტემის და სარეგისტრაციო ბარათების შეცვლა და სხვა.

◆ **მიენიჭათ ექიმის თანაშემწის წოდება** კურს დამთავრებულთ თფილისის საფერშლო სკოლაში 19 ივნისის 1920 წ. თარიღით შემდეგ პირებს: აივაზაშვილი მ., ასტვაცატუროვი უ., ბოროვიკოვი ვ., გიოშვილი ი., დვალი ი., ჯიქიძე ზ., ზუბაძე შ., ქორდავა ს., კოლესოვი გ., კაციტაძე გ., მეგრელიშვილი შ., მაკაროვი თ., პოსტოლოვი ი., ფაილაძე ა., პრიჩკოვსკი ვ., სვანიძე ტ., ჩიკვაიძე ნ., ჩიტაიშვილი ე., ჭელიძე ა., ცინცაბაძე ვ. შაპოშნიკოვი ლ., ნარიმანიძე გ.

◆ **გაზეთების გაგზავნა** გუშინ პროვინციაში ჩვენგან დამოუკიდებელ ტეხნიკურ ხასიათის დაბრკოლების გამო ველარ მოვასწარით. კანტ. „განათლება“.

◆ **კლუბი მერცხალი.** (პლეხ. პროსპ. № 65). დღეს 26 ივნისს, თფილისის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა დაბალ მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი მართავს დიდ საღამო-სეირნობას ღამის 1-ლ საათამდის ლოტო, ლატარია-ალეგრი და მრავალი სხვა გასართობები. დაუკრავს სახელგანთქმული მეთარე გ. ჯაფაროვი და სამხედრო მუსიკა.

◆ **ნავთულ კახეთის გვარდიის შტაბის პრეზიდიუმი** გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: 19 მაისს, როდესაც მოხდა მობილიზაცია და ყველა გვარდიელები გამოცხადდენ შტაბში, სადგ. მუკუზანის უფროსის თანაშემწემ, გვარდიელმა სოლომონ მაჩაბელმა კატეგორიული უარი განაცხადა ფრონტზედ წასვლაზედ. მიზეზად წამოაყენა რამდენიმე უსაფუძვლო და უმნიშვნელო საბუთები. იქონია რა მსჯელობა შტაბის პრეზიდიუმმა, დაადგინა: აეყაროს მაჩაბელს იარაღი და როგორც არა საიმედო პიროვნება გამოირიცხოს გვარდიიდან, რაც ეცნობოს ყველა შტაბებს, რომ იგი არსად არ იყოს გვარდიაში მიღებული.

◆ **მკერავ ქალთა პროფესიონალურ კავშირის** საზოგადო კრებამ, რომელიც შესდგა 30 აპრილს, აირჩია საგამომძიებლო კომისია, რომელსაც დაავალა გამოიკვლიოს ის ბოროტ-მოქმედებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მკერავ ქალთა კავშირში.

◆ **შეცდომის გასწორება.** მ. წულუკიძის ფელეტონებში „ესკიზები თანამედროვე ქართულ ლიტერატურიდან“ შემდეგი შეცდომები შეიპარა: პირველ ფელეტონში დაბეჭდილია: მეორე საუკუნე—უნდა იყოს მეოცე საუკუნე, დაბეჭდილია ინერცია—უნდა იყოს ინტუიცია; მეორე ფელეტონში—დაბეჭდილია ცხოვრებათ—უნდა იყოს ცხოვრებაში, ცის წიაღს—უნდა იყოს ცის წიაღს, დაბეჭდილია მტრის გამარჯვება—უნდა იყოს მეორის გამარჯვება.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

შაბათს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ქალთა ბიუროს კრება, მეორე რაიონის ბინაზე.

— დღეს, საღამოს 4 ს. კანტორაში შესდგება ერთობის უბნის სამეურნეო მუშათა საზოგადოების საერთო კრება. წევრები ვალდებულნი არიან დაესწრენ ამ კრებას, საწევრო წიგნაკებით.

**პროვინციის ქრონიკა.**

**საგარეჯო.** კვირას, 27 ივნისს დრამატიული წრის „არმაზის“ მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ჰუგო ჯივეტის დრამა „მიხაკი“ და მხიარული პიესები „მოფიჩხულია“ და „დედის ერთა“.

# საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა

**18 ივნისი. საღამოს სხდომა.**

სიტყვა ეძლევა მეორე მოხსენებისათვის **ამხ. კ. ნინიძეს.** იგი ამბობს: მე მოვისმინე ამხ. ნ. ხომერიკის შინაარსიანი და ციფრებზე დამყარებული მოხსენება აგრარულ პროგრამის შესახებ. მაგრამ იქ არ იყო ლაპარაკი აგრარულ პოლიტიკაზე. მომხსენებელმა ბევრი ილაპარაკა აგრეთვე კულტურაზე, მეურნეობაზე; ხოლო აგრარულ პოლიტიკაზე არ მიიჩნია საჭიროთ ლაპარაკი.

როგორც ნ. ხომერიკი ისე მე გამოვდივართ ჩვენი აგრარულ პროგრამის მთავარ დებულებებიდან. როგორც იცით, ჩვენი პროგრამა მიზნათ ისახავს ორ რამეს: ბატონ-ყმობის, ფეოდალიზმის ნაშთების გაუქმებას და მეურნეობის განვითარებისთვის ხელის შეწყობას. ამ მიზნით, პროგრამის თანახმათ, როგორც სახელმწიფო, საუფლისწულო და სხვ., აგრეთვე კერძო მესაკუთრეთა მამულები, გარდა წვრილ წარმოებისა, უნდა გადასცემოდა ადგილობრივ თვითმართველობებს, მუნიციპალიტეტებს.

ამრიგათ წამოყენებული იყო მუნიციპალიზაცია, ნაწილობრივათ დასაშვები იყო აგრეთვე ნაციონალიზაცია. შემდეგ აგრარულ პროგრამას გაუკეთდა შენიშვნა, რომლის თანახმათაც შესაძლებელი იყო აგრეთვე მიწების განაწილებაც, რის ნორმებსაც ადგილობრივ პირობების მიხედვის გამო იმუშავებდენ იგივე თვითმართველობები.

ჩვენმა კანონმა აირჩია ორი წვანსხვავებული უკიდურესობა: 1) საერთო ხასიათის მიწები გადადის სახელმწიფოს ველში, ხოლო, 2) ყველა დანარჩენი მიწები გადადის კერძო საკუთრებაში. ამ რიგათ თვითმართველობებს არაფერი ეძლევათ, ისინი უყურადღებოთ რჩებიან.

28 ივნისის პარლამენტის კანონი ცოტა ყურადღებას აქცევს ერობებს: უკანასკნელს ეკითხებიან ამა თუ იმ მამულის გაყიდვის დროს. მაშინ ერობა სუსტი იყო; ამიტომ მეტ ყურადღებასაც ვერ მიაქცევდნენ მას. დღეს კი ეს უნდა გამოსწორდეს. ერობა ადგილობრივ მმართველობის ორგანოა, ხალხის მიერ არჩეული; მეშასადამე მას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, როგორც სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას. ერობას აქვს ერთი უპირატესობა სახელმწიფოსთან შედარებით: მთავრობას არა აქვს ადგილობრივათ სათანადო აპარატი სამეურნეო ცხოვრების მოსაწესრიგებლათ. ამიტომ მამულების ის ნაწილი, რომელსაც არა აქვს უდიდესათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, უნდა გადასცემოდა ერობას.

მაშასადამე პირველი ჩვენი დებულება მდგომარეობს შემდეგში: გაფართოვდეს ადგილობრივ თვითმართველ ორგანოთა უფლება, გადაეცეს მათ საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის მამულები. თავის მოსაზრებაში ორატორი იქიდან გამოდის, რომ სახელმწიფო პირველყოვლისა არის და იქნება პოლიტიკური ორგანიზაცია, რის გამო სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგება და გაძღოლა უნდა დაეკისროს ადგილობრივ თვითმართველობებს. ორატორს მოჰყავს ერობათა კავშირის მოხსენება, სადაც ერობაც ითხოვს მის უფლებების გაფართოვებას.

ჩვენი კანონმდებლობა მიზნად ისახავს ორ რამეს: მიწების ჩამორთმევას და შემდეგ მის განაწილებას. როგორც ვიცით ჩამორთმევის საკითხი შედარებით ადვილათ მოგვარდა. უფრო ძნელი აღმოჩნდა რეფორმის მეორე მხარე—საფონდო მიწების განაწილება. მე არავის ვუსაყვედურებ; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრომ ვერ შესძლო ამ საქმეს გაძღოლოდა სათანადოთ და ამის მიზეზი, ჩემის აზრით, შემდეგში უნდა ვეძებოთ.

ცენტრალიზაცია კარგია, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს აქვს კარგი, მოქნილი, მოწყობილი აპარატი. სამინისტროს განზრახვები კარგი ჰქონდა. მაგრამ მან ვერ შესძლო ისეთ ტეხნიკურ საქმეების მოგვარება, რასაც, ჩემის აზრით, ადვილათ მოაგვარებდენ ადგილობრივი თვითმართველობები. ამიტომ ეს საქმე უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობებს, ერობებს, რომლებიც ადგილობრივათ უფრო კარგათ და ადვილათ დასძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებებს. ეს იქნება **მეორე მხარე ჩვენი წინადადებისა.** აი ის ორი მოსაზრება, რაც ყრილობისათვის მინდოდა მომეხსენებიაო,—ათავებს ორატორი.

ამის შემდეგ იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: ამხ. ქავთარაძე, თევდორაშვილი, გ. დუნდუა, თევზაია, მენაღარიშვილი, ს. მაჭავარიანი, აიოლლო,

**ამხ. ქვათაძე და თევდორაშვილი** აღნიშნავენ აგრარულ რეფორმის გატარების სირთულეს და სიძნელეს და მიუთითებენ ზოგიერთ შეცდომებზე და ბოროტმოქმედებაზე, რასაც ალაგი ჰქონებია ადგილობრივათ.

**ამხ. ნ. დუნდუა.** ორატორი იწონებს აგრარულ კანონმდებლობის საერთო პოლიტიკურ ხაზს. ეხება რა აგრარულ რეფორმის პრაქტიკულ მხარეს, ორატორი ამბობს: ჩვენში მიწების შედარებითი სიმცირეა. ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მიწების ინტენსიურათ დამუშავებას. ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა ცხოვრებაში სავსებით გატარებით, რომელიც აქ მომხსენებელმა წამოაყენა. დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა ტეხნიკურ გაუმჯობესებით გაძლიერებულ იქნეს მეურნეობის ინტენსივობა, რომ ჩვენში არ არის მიწის კრიზისი, არამედ არის კრიზისი ცოდნისა, რაც უმთავრეს დაბრკოლებას შეადგენს სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

**ამხ. ბ.** თევზაია. ორატორი ეხება ჩვენი კანონმდებლობის აგრარულ პოლიტიკას და ამბობს: ჩვენი პარტია ხელს უნდა უწყობდეს წვრილ მეურნეობათა შეკავშირებას და მათ მიერ საერთოდ ნაწარმოების გასაღებას. ხშირათ მეურნეობას თავს ატყდება მოულოდნელი შემთხვევები, რაც მას დიდ ზიანს აყენებს; ამიტომ შემოღებულ უნდა იქნეს მამულების, საქონელისა და სხვ. სახელმწიფოებრივი დაზღვევა ასეთ მოულოდნელ შემთხვევებისაგან, რომ ხალხი არ მოჰყვეს უმწეო მდგომარეობაში (დაზღვევა სეტყვისაგან და სხვ.). ორატორი არ ეთანხმება მეორე მომხსენებელს ამხან. კირილე ნინიძეს იმაში, რომ თითქოს ერობები, ადგილობრივი თვითმართველობები ყოველ პირობებში უფრო კარგათ შესძლებენ მეურნეობის მოწყობას, ვიდრე სახელმწიფო. მაგრამ ერობები, თემები და სხვ., მიუხედავათ ამისა, მაინც აწარმოებენ კომუნალურ მეურნეობას, რაც უსათუოდ, ორატორის აზრით, გაძლიერებული უნდა იქნეს. მიწების ყიდვა-გაყიდვა აღკრძალული უნდა იქნეს და დანაწილების დროს აღებული მთელი თანხა მეურნეობის ინტენსიფიკაციას მოხმარდეს. ჩვენი ქვეყანა შესამჩნევ ხნის განმავლობაში დარჩება წვრილ მეურნეობის ქვეყნათ და მეურნეობა ვერ მიიღებს მსხვილ კაპიტალისტურ წარმოების ფორმებს.

**ამხ. ს. მენაღარიშვილი.** ორატორი ეხება საერთო მნიშვნელობის მამულების თვითმართველობების ხელში გადაცემის საკითხს და ამბობს, რომ ასეთი გადაცემა უნდა მოხდეს ადგილობრივ პირობებისა და თვით წარმოების შინაარსის მიხედვით; უნდა გადაეცეს ისეთი მამულები, რომლის მოვლასაც ერობა შესძლებს ისე, რომ არ შეფერხდება მეურნეობის განვითარება. თვითმართველობათა ხელში უნდა გადავიდეს, მაგ., ტყეების დაცვის საქმე და სხვ. ყიდვა-გაყიდვა უნდა ხდებოდეს ადგილობრივ თვითმართველობათა მონაწილეობით. ზოგიერთ ბოროტ-მოქმედებებს, რომელსაც კი აგრარულ რეფორმის გატარების დროს ალაგი ჰქონდა ადგილობრივათ, ორატორი თვით რეფორმის სირთულით ხსნის.

ამხ. **ს. მაჭავარიანის** აზრით სახელმწიფო მიწები უნდა გადაეცეს თვითმართველობებს; მამულების ყიდვის უფლება მხოლოდ ერობებსა და თემებს უნდა ჰქონდეს.

**ამხ. გრ. აიოლლო.** ორატორის აზრით ჩვენი აგრარული რეფორმა სავსებით შეეფერება საქართველოს სინამდვილეს. არ არის მართალი, თითქოს იგი რაიმე უკმაყოფილებას იწვევდეს გლეხობაში. თუ რაიმე უკმაყოფილებას აქვს ამ მხრივ ალაგი, — ეს იმით აიხსნება, რომ გლეხობას არ აქვს საკმაოთ განმარტული კანონის შინაარსი, რითაც სარგებლობენ სხვა პარტიების ზოგიერთი უპასუხისმგებლო აგიტატორები და ამხედრებენ გლეხობას მთავრობის წინააღმდეგ.

ორატორს მოყავს ამის მაგალითები აფხაზეთის ცხოვრებიდან, სადაც მას ცხოვრება უხდებოდა და მოწამე გამხდარა ნაც.-დემ. პარტიის წარმომადგენელთა ასეთ მუშაობისა. მისი აზრით, ჩვენი აგრარული რეფომა უკანასკნელი სიტყვაა აგრარულ კანონმდებლობის ისტორიაში. ორატორს არ მიაჩნია შესაძლებლათ, რათა ადგილობრივი თვითმართველობები განუსაზღვრელ უფლებებით აღიჭურვოს: ამისთვის ისინი ჯერ-ჯერობით არ არიან მომზადებულნი. ყიდვა-გაყიდვა აკრძალული უნდა იქნეს; შეყიდვის უფლება მხოლოდ თვითმართველობებს უნდა მიენიჭოს. ამრიგათ თანდათანობით უკანასკნელთა ხელში გადავა საკმაო მიწები, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ განავითარონ კომუნალური მეურნეობა.

**ამხ. კოპლატაძე** მოითხოვს, რათა აგრარული რეფორმა გავრცელდეს წვრილ ქალაქებზედაც.

ამით სწყდება კამათი. სიტყვა ეძლევა მომხსენებლებს.

**ამხ. კ. ნინიძე.** მისი აზრით, ყრილობამ ვერ მოეკიდა საკმაო სერიოზულობით აღძრულ საკითხებს. ორატორი ეხება ამხ. აიოლლოს მოსაზრებებს და ამბობს: ამხანაგი უხერხულობაში ჩავარდა; ჯერ ის ამბობს, რომ არ შეიძლება მამულების თვითმართველობებისთვის გადაცემა, ვინაიდან ისინი არ არიან მომზადებული ამისთვისო. მაგრამ ამავე დროს მოითხოვს, რომ გაყიდვა მამულების მხოლოდ თვითმართველობებზე ხდებოდეს. ორატორი შენიშნავს, რომ თუ ერობა უძლურია,—უძლური იქნება იგი მეორე შემთხვევაშიცო. ყოველ შემთხვევაში, თუ კი თვითმართველობები სუსტნი არიანი,—სახელმწიფო უნდა შეეცადოს მათ გაძლიერებას, ვინაიდან ერობა, თემია ის ორგანიზაცია, რაზედაც დამყარებულია მთელი სახელმწიფოს ძლიერება.

**ამხ. ნ. ხომერიკი.** ორატორი პირველათ აღნიშნავს ბოროტმოქმედებას—გადასაცემ მამულების ნორმის გადიდებას, რომელსაც ზოგიერთ ორატორების სიტყვებით, ალაგი ჰქონდა ადგილობრივათ და ამბობს, რომ ამას გამონაკლისის ხასიათი აქვს და არა სისტემის. შემდეგ ეხება კ. ნინიძის მოსაზრებებს და ამბობს: მას არაფერი ახალი არ წამოუყენებია და მე პრინციპიალურათ სავსებით ვიზიარებ მის დებულებებს. ის ამბობს, რომ მამულები ერობებს გადაეცესო. სამინისტრომ უკვე მიიღო ზო-

მები ამ მხრივ და წინადადებაც მისცა ერობებს შეედგინათ იმ მამულების სიები, რომლებსაც ისინი შესაძლებლათ სცნობდენ მიეღოთ თავიანთ განკარგულებაში. ამისთვის, ჩემის აზრით, განსაკუთრებული კანონი არ იქნება საჭირო: ჩვენი კანონმდებლობა უკვე აღნიშნავს ამ გარემოებას. აქ საკამათო არაფერია. ასე რომ წინადადებაში ახალი არაფერი არის. საქმე მხოლოდ პრაქტიკულ შესაძლებლობას ეხება.

ერობა ადგილობრივი მთავრობაა. ამიტომ არ არის მართალი ის მოსაზრება, თითქოს ერობას უკეთ შეეძლოს სახელმწიფო მამულების მოვლა, ვინემ სახელმწიფოს. სახელმწიფოსა და ერობის დაპირისპირება ამ სფეროში შეუძლებელია; სახელმწიფოს კიდევ უფრო მეტი საშუალებები აქვს საქმის გასაძღოლათ, ვიდრე ერობას. ეს ფაქტია. მაგალითები ადგილობრივათ დეფექტების შესახებ იმას მოწმობენ, რომ ერობას არა ჰყავს საკმაო კადრი მომუშავეებისა. ეს კი იმას მოასწავებს, რომ ერობები ვერ შესძლებენ მამულების მოვლას, გასცემენ იჯარით და ამით კი მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი ზიანი, ვიდრე ამას დღეს აქვს ალაგი. ამიტომ მამულების გადაცემა მომავალში უნდა მოხდეს თანდათანობით იმის მიხედვით, თუ რამდენათ ძლიერნი იქნებიან ერობები. მაშასადამე, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით დასახელებულ მოსაზრებას პრინციპიალურათ, მაგრამ დღეს ამის განხორციელება შეუძლებელია.

კ. ნინიძე ისე ასურათებს მდგომარეობას, თითქო სახელმწიფო დაჟინებით მიისწრაფოდეს ცენტრალიზმისაკენ. ეს არ არის მართალი. უკვე დღესაც დიდი ფუნქციები აქვს მინიჭებული ადგილობრივ თვითმართველობებს და იგი მომავალში კიდევ თანდათანობით გაუდიდდებათ. ასე რომ,—ათავებს ორატორი, ყოველგვარი ზომებია მიღებული იმისთვის, რათა მთელ მუშაობას ადგილობრივი თვითმართველობები აწარმოებდნენ (ტაში).

დასასრულ არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა გარჩეულ საკითხის შესახებ სათანადო რეზოლიუციის გამომუშავება.

## ნ. სულხანიშვილის კონცერტის გამო

ის პირობები, რომელშიაც იმყოფებოდა ჩვენი მუსიკალური კულტურა ყოველთვის მეტად მძიმე იყო. და ის მუშაკნი, რომლებიც ამ საქმეს ემსახურებოდენ, ჭეშმარიტათ წამებულნი იყვნენ. მუსიკის დარგში მომუშავენი ლუკმა-პურის ძიებაში იყვნენ, გაჭირვებას თავს ვერ აღწევდენ და გასაკვირველიც არის, თუ ასეთ პირობებში რამიე ღირებულების შექმნას ასწრობდენ მაინც. აბა დაუკვირდით კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ცხოვრებას და დარწმუნდებით, რომ ამას არ ჰქვიან ცხოვრება. დამშეული, შიშველ-ტიტველი მისი ოჯახობა ხშირათ ლუკმა პურის მონატრული იყო და ოჯახის მამა კი გაკვეთილებზე დარბოდა, რათა ამით ეშოვნა ორიოდე გროში. რასაკვირველია, იტყვიან, ბევრში თვითი იყო დამნაშავე. ეს მართალია; მაგრამ განა იგი ნორმალურ პირობებში იყო ჩაყენებული განა მის უნიჭობობით არ უყურებდენ და მის ადამიანურ ღირსებას სათანადო პატივს სცემდენ? განსვენებულს შეეძლო და ჰქონდა სრული უფლება საყვედურით მიემართა საზოგადოებისათვის, რომელმაც ვერ დააფასა კომპოზიტორის ღვაწლი და ტანჯული სიცოცხლე არ გაუუმჯობესა. ამის მიუხედავად კომპოზიტორი მაინც მღეროდა—„მამ გამარჯვება ტკბილო საცოცხლე“-ო და ეს სიმღერა სიცოცხლისადმი სიყვარულით არის აღსავსე; იგი გამამხნევებელია ადამიანისა. ეს სიმღერა ძლიერ ნიჭიერათ არის დაწერილი, მასში დაცულია ხალხური ჰანგები და იგი იმას მოწმობს, რომ მისი დამწერი არ მომკვდარა; იგი ცოცხლობს მათ ხსოვნაში, ვისაც ესმის და უყვარს ქართული მუსიკალური ხელოვნება.

შაბათს, 24 ივნისს სახელმწიფო თეატრში გაიმართება დიდი საინტერესო საღამო ნ. სულხანიშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ. ამ საღამოს შესრულებულ იქნება განსვენებულის საუკეთესო ნაწარმოები. მთელი შემოსავალი გადაეცემა განსვენებულის ობლებს და იმედია, ჩვენი საზოგადოება შეასრულებს თავის მოვალეობას, ღირსეულად დააფასებს გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორის ღალანტს და დაეხმარება გაჭირვებულ ოჯახს.

**დ.**

## სოფლის ცრუმორწმუნოება და მღვდლების ოინები

ჯერ კიდევ ჩვენს ხალხში მაგრათ აქვს გადგმული ფესვები ათასგვარ ცრუმორწმუნოებას. ამის წინააღმდეგ ბრძოლა არც ისე ადვილი საქმეა: რომ დიდი კულტურული მუშაობაა საჭირო ამ ნიადაგზე, ეს არავისთვის სადაო არ არის.

აღსანიშნავია მხოლოდ ის, თუ ვინ უწყობს ხელს ხალხში ცრუმორწმუნოების განმტკიცებას:

ბევრი პირადი ანგარიშით დაინტერესებული ავანტიურისტი დაძრწის ამ მიზნით სოფლად, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინოა ამ დარგში ზოგიერთი მღვდლების მუშაობა.

თუ ვისმე საეჭვოდ მიაჩნია მღვდლების როლი ამ საქმეში, ინებოს ფაქტების მოსმენა:

ეს ამბავი მოხდა ამა წლის მაისში ქუთაისის მაზრის ამაღლების და უბუთის თემებში.

ამ თემების მცხოვრებლებმა იონა ნაცვალაძემ (10 წლისა), სევერიან გაბუნიამ (28 წ.), ელისაბედ ხაჩიძისამ (19 წ.), აკვირინე ჩხეიძისამ (17 წ.), ვერიჩქა ბურჯაძისამ (14 წ.) დაიწყეს ხალხში ქადაგება, ვითომ მათ გამოეცხადა წმინდანები, რომლებმაც ურჩიეს ხალხს არ ემუშავნათ კვირა-უქმეები, ევლოთ ეკლესიებში... ის ქარი, რომელიც ჰქროდა აპრილ-მაისში იმის ბრალია, რომ ხალხმა ღმერთი დაივიწყაო და სხ. გორის მიწისძვრას და სხვა ათასგვარ უბედურებას, რომელიც ხალხს შეემთხვა. მოქალაქეების აზრით, ღმერთის განრისხების ბრალი იყო და სხ.

რა გამოირკვა, ვინ ააფორიაქა ხალხი, რა იყო მათი მიზანი?

იონა 10 წლის ბავშვია—პავლე ნაცვალაძის ვაჟი სოფ. დვალიშვილებიდან. აი რა უამბო მან დაკითხვის დროს: „აღდგომის მესამე დღეს მათ სახლში მივიდა მღ. ანფოლიკე ცინცაძის ქალიშვილი ოლია, რომელიც მოელაპარაკა მის მშობლებს, რომ მათ შვილს ვითომც გამოეცხადა ანგელოზი, რომელიც ვითომც შეეკითხა: თუ სწამს ხალხს ღმერთი, თუ იცის და-ძმობა, ნათესაობა, კვირა-უქმე, ხსნილი და მარხვა. ვითომც ანგელოზმა დაავალა მას ექადაგნა ხალხისთვის დაეცვათ ზემოხსენებული წესები. თუ ხალხი ასე არ მოიქცევა, მარიამობისთვეში ღმერთი გამოუშვებს ბამბის თოვლს სამ დღეს, რომელსაც მოჰყვება ცეცხლი და დაიწვის ქვეყანაო. იონას დედ-მამა წინადადებაზე დასთანხმდნენ, რისთვისაც მიიღეს 1000 მანეთი. ამის შემდეგ ისინი ოლიამ წაიყვანა თავის სახლში, სადაც ოლიას მამამ მღ. ანფოტიკე ცინცაძემ დაარიგა ისინი თუ როგორ ექადაგნათ და შეპირდა დანარჩენი 1000 მ. მიცემა შემდეგი კვირისთვის.

შვილის ჩვენება დაადასტურა მამამ—პავლე ნაცვალაძემ.

მეორე მქადაგებელი სევერიან იოსების ძე გაბუნია შემდეგს აჩვენებს: მას შემდეგ ერთი თვე იქნება, როდესაც ის ყანაში მუშაობდა და მასთან მივიდა მღვდელი ანფოლიკე ცინცაძე, რომელმაც დაუწყო მას ლაპარაკი სარწმუნოების დაცვის შესახებ, აგრეთვე, რომ ის გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ვინაიდან არ ეძლევა ჯამაგირი, სთხოვა მას დაეტოვა სამუშაო, წასულიყო თავის მღვდელთან გაბრიჩიძესთან, შეეკრიბა ხალხი და გადაეცა მისთვის, ვითომ მას გაბუნიას გამოცხადა ფრთოსანი ანგელოზი, რომელმაც მას გადმოსცა, რომ ღმერთს პირი აქვს ნაბრუნები ქართველებზე, ის ახლა სწყალობს თათრებს და ურიებს და თუ ხალხი მოკლე დროში არ გაიხსენებს ღმერთს, არ შეუდგება მის ლოცვა-ვედრებას, არ იუქმებს ყოველ კვირაში სამს დღეს—კვირას, შაბათს და პარასკევს,—ქვეყანა დაიქცევა ისე, როგორც სოდომ გომორიო. ამისთანა ქადაგებისათვის მღვდელი ცინცაძე შეჰპირდა მას პატივისცემას, მაგრამ რაში უნდა გამოხატულიყო ეს პატივისცემა, მას არ უთქვამს...

გაბუნიაც საქმეს შეუდგა—წავიდა საქადაგებლათ. გზაში მას შეხვდა ასისთავი რაჟდენ ცხადაშვილი, რომელსაც აუხსნა, თუ როგორ გამოეცხადა ანგელოზი. ორივენი ერთად წავიდნენ ეკლესიისაკენ. დაიწყეს ზარების რეკა. შეიკრიბა ხალხი. მოვიდა მღვდელი გაბრიჩიძე, რომელსაც მოსთხოვეს ეკლესიის გაღება და უქადაგა ხალხს ისე, როგორც დარიგებული იყო.

დანარჩენების ჩვენებაში ისეთი საყურადღებო მაინცა და მაინც არაფერია.— ზოგი ამბობს, თუ როგორ გამოეცხადა მას თამარ მეფე, ანგელოზი და სხ. თვით მღვდელი ანფოტიკე ცინცაძე აჩვენებს, რომ 19 აპრილამდე ის იონა ნაცვალაძეს სრულებით არ იცნობდა. 19 აპრილს კი, როცა ის სხვებთან ერთად სოფ. ძულუხიდან ტობანიერში მიემგზავრებოდა შეხვდა მეწისქვილე კაპანაძეებს, რომლებსაც ჰკითხა მოქადაგე ბავშვის შესახებ. მოქადაგე ბავშვი იქვე აღმოჩნდა მინდორში მამასთან ერთად რომელიც მიწას ხნავდა. მღვდლის შეკითხვაზე პატარა იონა მართლაც მოუყვა, თუ როგორ გამოეცხადა მას ანგელოზი და სხ. ამაზე მღვდელმა ცინცაძემ ბავშვს უთხრა, რომ მას ღმერთი არ დაევიწყებია, ევლოთ წირვაზე და სხვა. იქვე მყოფმა იონას დედამ უამბო მღვდლის ცოლს და დას, თუ როგორ სტიროდა მისი შვილი, გორის დაქცევის წინო.

ასე ჩაეყარა საფუძველი მქადაგებლებს სოფლად. ხალხს მოედო მათი მოვლინების ცნობა. დაიწყო ღელვა.

არ იქნება მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული სათანადო დოკუმენტების აღნიშვნით იმის ჩამოთვლა, თუ ვინ როგორ შეხვდა ამ ამბავს. პირველად, რა თქმა უნდა, თავი გამოიდვეს მღვდლებმა. აი, ამის საბუთებიც:

1.

მოწმობა ესე ეძლევის, თანახმად ხალხის თხოვნისა სოფლის გეგუთის მცხოვრებს ამაღლების ეკლესიის მედავითნეს გერმანე კაპეტივაძეს და მასთან კიდევ იაგორ კილაძეს მას შინა რომელი ამით ეძლევის ნება წავიდნენ სადაც იყოს ნახოს ახლად ანგელოზის გამოცხადების მქადაგებლები. ჩვენი სოფელი მთხოვნელია, როდესაც გენებოს მობრძანდით და დღე დაგვინიშნეთ თქვენის მობრძანებისა. დღე დანიშნეთ თქვენ. იმ დღის ხალხი შეიკრიბება, ქალი და კაცი ყველა. 1920 წ. მაისის 4 დღესა ძველი სტილით. გეგუთის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი მელიტონ ჩხაიძე. ბეჭედს ვასვამ ამ ეკლესიის სახელზე მოჭრილს.

2.

მქადაგებელნო ღვთის სიტყვისანო რადგან მე მღვდელს და ჩემს სულიერს მოწაფეებს სულით და გულით გვსურდა და გვსურს თქვენი ღვთის განცხადების მოსმენა, ოთხ რიცხვს ამა მაისისა თვისა მე ჩემის სტაროსტით წამოვედი სოფელ დიმში. მინდოდა შემეტყო, თუ სად ბრძანდებოდით მენახეთ და მეთხოვნა თქვენთვის ჩემს პრიხოდში მობრძანება, მაგრამ რადგან მღვდელმა მიხაილ მაჩიტაძემ მითხრა გუშინ აქედან წავიდენ და არ ვიციო, მე უკან დავბრუნდი და თქვენი ნახვა ვერ მოვახერხე ეხლა ამ წერილს გიგზავნით და გთხოვთ მე მღვდელი და აგრეთვე ჩემი მრევლიც დროება დაგვინიშნოთ თუ როდის მობრძანდებით, რომ ეკლესიაზე შევიკრიბოთ მობრძანდეთ და თქვენზე ღვთისაგან ბრძანება მოგვასმინოთ. მთხოვნელი ობჩის ღვთის მშობლის ეკლესიის მღვდელი არისტოკლე კიკვაძე. 11 მაისი 1920 წ. (აზის საეკლესიო ბეჭედი).

3.

ძმაო იოსებ გაბუნია. მოგიკითხავთ ღვთით სიყვარულობით. ამას გარდა ჩემი მრევლის უმეტესი ნაწილი და მეც მათთან გთხოვთ გვიშუამდგომლოთ, რომ ახლად გამოსული მქადაგებლები სარწმუნოებაზედ ვინც ბრძანდებიან როგორც სხვაგან, ისე ვარციხეშიაც მობრძანდენ და თვით სიტყვები წარმოთქვან ხალხთა შორის რისთვისაც მადლობელი დავშთებით თქვენი, უკეთუ ექნებათ დრო მობრძანდენ ამ კვირას. ვარციხის მღვდელი ერმალოზ გუმბერიძე. 1920 წ. მაისის 21 დღესა.

4.

მოწმობა ესე ეძლევის სოფ. დიდველში მცხოვრებელს ივანე კალატოზს მას შინა, რომ მას საზოგადობისაგან დავალებული იქვს მოიყვანოს საზოგადოების თხოვნით როკითის ეკლესიაზე მქადაგებელი ბავშვი, რასა შინა ვემოწმებით ხელის მოწერითა და საეკლესიო ბეჭდის დასმითა 1920 წ. მაისის 4 დღესა მღ. დავით კარგარეთელი. (საეკლესიო ბეჭედი).

5.

ოფჩის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი მღვდელის ამბაკო ღიმბრაძის მიერ ეძლევის ნება მრევლის თანხმობითაც ხსენებულ ეკლესიაზე მისვლისა და ქადაგებისა მსურველთ გარდა ღვთისა და მთავრობის საწინააღმდეგოსა. წინამძღვარი მღვდელი ამბაკო ღიმბრაძე. (საეკლესიო ბეჭედი).

6.

მათ ბრწყინვალებას ბ. მქადაგებლებს. კიკნაველის საზოგადოების ს. ქვედა-ზეგნის (ეკლესიის) წმინდა გიორგის ეკლესიის შემომავალი მცხოვრებლების ქალის და კაცის თხოვნა. ვითხოვთ და გევედრებით თქვენა ამა წმინდის გიორგის ეკლესიის შემომავალი ხალხი ქალი და კაცი პატივი გვცეთ და მობრძანდეთ. მღვდ. ვლასი კეკნეჯარიძე. (ბეჭედი).

ასეთია ზოგიერთი მღვდლების დამოკიდებულება „მქადაგებლებთან“, ამასთან საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ორი „პრიგოვორი“, სოფლელთა მიერ გამოტანილი.

1. პრიგოვორი. ამა 1920 წლის მაისის ექვსსა დღესა შესდგა სურვებითი კრება ზედა დიმის წმინდის გიორგის ეკლესიაზე. კრება ლდელი და ერი და ერთხმად დაადგინეს თავის სურვილით, რომ ეთხოვათ რა კიდევაც გთხოვთ თქვენ ხვთის მოციქულებს მობრძანდეთ და გაგვავითაროთ. რა შინა ხელს ვაწერთ სოფლის ზედა დიმის ეკლესიის შემოპავალი მღვდელი და ერი. ხელს აწერს 86 კაცი. მეორე „პრიგოვორს“, რომელიც ამავე შინაარსისაა“, ხელი აქვს მოწერილი 35 კაცს დამოწმებულია საკოპლეტის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელის ლ. ჯიშკარიანის მიერ.

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ აქ ეს მოწმობები და „პრიგოვორები“ იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორ რა საშვალებებით მუშაობენ ხალხში მისი მტრები.

ამიტომ ახლოს გაცნობა მათ „საქმიანობასთან“ და ბრძოლა მათ წინააღმდეგ,—აი, რა უნდა იყოს ჩვენი უპირველესი მიზანი!..

## წერილი რედ. მიმართ

გაზეთ „საქ. კომუნისტში“ (№ 6, 24 ივნისს) მოთავსებულია წერილი—„ვინ ჩაშალა ლექცია?“, სადაც სწერია: „ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტურ კავშირის ცენტრალურ კომიტეტს ჰსურდა გაემართა სახაზინო თეატრში ლექცია ამხ. მიხა ცხაკაიასი—დისკუსიით. ცენტრალურ კომიტეტის მოთხოვნით ბილეთები უნდა გაყიდულიყო თეატრის კასაში, რაზედაც კომისარმა დადებითი პასუხი მოგვცა. მაგრამ მეორე დღეს თეატრის კასაში **არც ერთი ბილეთი არ აღმოჩნდა** (ხაზი „კომუნისტისაა“). შეკითხვაზე, თუ რა იქნა ბილეთები, კომისარმა გვიპასუხა: პროფესიონალურმა კავშირებმა წაიღოვო, კასირშამ კი გვითხრა: პარტიის კომიტეტებმა წაიღესო. პროფესიონალურ კავშირის „მეთაურები“ ხელძე და სხვები შეუდგენ ბილეთების განაწილებას თავიანთ ძმა-ბიჭებში, ისე რომ არც ერთი ბილეთი კომუნისტებს არ ჩავარდნოდა ხელში“ და სხვა. წერილი ასე თავდება: „ყოველივე ამან ვერ გასჭრა, მერე მიმართეს უკანასკნელ საშუალებას: ერთ ორგანიზატორთაგანს ამხ. ვარდანიანს დაუწყეს ძებნა საგანგებო რაზმის წევრებმა, ალბად, ლექციის ჩაშლის განზრახვით. ყოველივე ამის შემდეგ ორგანიზატორები იძულებული გახდენ ლექცია გადაედოთ სხვა დროისთვის“-ო.

ალბად, ყოველივე ზემომოყვანილი ბ-ნ კომუნისტებს საავიტაციოთ სჭირდებათ, თორემ აბა რად ესაჭიროებათ ასე ფაქტების დამახინჯება და განგებ შეთხზვა ჭორებისა?!.

ნამდვილად კი საქმე ასე იყო: კომუნისტებმა მოინდომეს სულ **ყველა ბილეთების წაღება და თავის რედაქციაში გაყიდვა**, ე. ი. თავიანთ ამხანაგებში გასაღება, რაზედაც მე განვუცხადე: თუ პარტიულ კრებას ჰმართავთ, აქ რა შუაშია საზოგადო დაწესებულება—თეატრი და თუ არა, მაშინ ბილეთები კასაში უნდა გაიყიდოს-მეთქი. ბილეთების კასაში გაყიდვის შესახებ მათ სრულიად არაფერი უთქვამთ.

სანამ ბილეთები კასაში გასაყიდათ შევიდოდა, ბ-ნმა კომუნისტებმა თვითონ წაიღეს ორასი იაფ-ფასიანი ბილეთი და თან შიში ჰქონდათ: თუ ვერ გავყიდეთ, უკან დაგიბრუნებთო. როცა ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია მუშებში (ხმა იყო, რომ დისკუსიაში წერეთელი ჟუღელი და სხვები მიიღებენ მონაწილეობასო), კომუნისტებმა კიდევ წაიღეს 100 ბილ. და ითხოვდენ, რომ მათ მეტი ბილეთები მისცემოდათ. ვეკითხები კომუნისტებს: რით გამართლდა ის მტკიცება, რომ კომუნისტებს არც ერთი ბილეთი არ შეხვდათო? ვინ არის იმაში დამნაშავე თუ ბ. კომუნისტებს ძვირფასიანი ბილეთები არ უნდოდათ, იაფფასიანი კი—რაც იყო, სულ წაიღეს?

კასა რომ გაიღო,—პროფესიონალურ კავშირებმა დიალაც წაიღეს ბილეთები; ასეთი ტრადიცია არსებობს სახელმწიფო თეატრში სეზონის განმავლობაში; ჩვენ მუშებს უპირატესობას ვაძლევთ. სამუშაოს რომ არ მოსცდენ, ჩვენ მათ წარმომადგენლებს მანდატით ვაძლევთ ბილეთებს. რა არის აქ საძრახისი?! მტკიცება, თითქოს კასირშას ეთქვას— ბილეთები პარტიის კომიტეტებმა წაიღესო და ვითომ მე სხვა მეთქვას,—სასაცილოა, რადგან კასირშამ არც კი იცის ის, რაც მას მიაწერეს: ის ვალდებულია მხოლოდ დააკმაყოფილოს სათანადო წესით მუშათა კავშირები, როგორც მიღებული იყო საზოგადოთ. ვინ არის იმაში დამნაშავე, თუ ბ.ბ. კომუნისტებმა ვერ გამოგზავნეს თავიანთ კავშირებიდან წარმომადგენლები? ბ. როზინი (ალბად, ვარდანიანი) ძალიან შიშობდა, რომ ბილეთები „ბურჟუაზიას“ არ ჩავარდნოდა ხელში; ეხლა კი სწუხს, რომ მუშებმა იყიდეს.

ყველა მათ ჭორებს არ გამოვუდგებით, შევეხებით მხოლოდ ერთ მტკიცებას.

წერილის ავტორი ამბობს: „ყოველივე ამან ვერ გასჭრა და ერთ ორგანიზატორს ამხ. ვარდანიანს დაუწყეს ძებნა საგანგებო რაზმის წევრებმა, ალბად, ლექციის ჩაშლის განზრახვითო“. აი სწორედ ის არასაკადრისი მტკიცება, რომლებმაც მე ძალიან ამაღელვა. სირცხვილია, ა. ვარდანიანო, ასეთი მტკიცება. ბ. როზინმა თავისი ენით მითხრა (ჯერ გადაწყვეტილი არც კი იყო ლექციის გამართვა, არც აფიშები, არც ბილეთები არ ყოფილა დამზადებული): მგონი, მე ვერ მივიღებ მონაწილეობას ლექციის გამართვაში, რადგან წინადადება მომცეს თფილისიდან წასვლის შესახებო. როცა სხვათა შორის მიზეზი გამოვკითხე,—მან მითხრა: „კომუნისტის“ წერილის გამო, ოსეთის ამბების შესახებაო“. ნუ თუ ყოველივე ეს ლექციის ჩასაშლელი მიზეზებია? ამას ჰქვია: „მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო“. აი, მართალი, ბ.ბ. კომუნისტებო, და არა ის, რაც თქვენ შესთხზეთ.

სახელმწიფო თეატრის კომისარი
**ალ. წუწუნავა.**

## უცხოეთი

### ინგლისი.

**დამოუკიდებელ ლიბერალების გამოსვლა.** გაზ. „ტაის“ ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ 14 მაისს თემთა პალატაში მოხდა დამოუკიდებელ ლიბერალების პირველი გამოსვლა. მათ შეიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც ჰკიცხავდნენ მთავრობის მოქმედებას, მათ მიერ ხალხთა ლიგის პრინციპების არ დაცვას და სხვა.

### სომხეთი.

**ვილსონი და სომხეთის საზღვრები.** აგარონიანი სომხეთის პრემიერ-მინისტრს პარიზიდან ტელეგრაფით ატყობინებს, რომ ვილსონმა მიიღო სან-რემოს კონფერენციის წინადადება სომხეთისა და ოსმალეთის საზღვრების გასაზღვრის შესახებ ვანის, არზრუმის, ბითლისის და ტრაპიზონის ვილაიეთებში.

**სასურსათო კრიზისი.** მზრუნველობის მინისტრს ატყობინებენ, რომ დარალაგაზში, დელიჟანში, კარაკლისში და კარავან-სარაიში მცხოვრებლები განიცდიან მწვავე სასურსათო კრიზისს. იყო შემთხვევები შიმშილისაგან სიკვდილისა. მინისტრმა მიჰმართა ამერიკის წარმომადგენელს თხოვნით მიეცეს ფქვილი დამშეულ რაიონებს.

**სწავლის საქმე.** 1919—20 სამოსწავლო წელში სომხეთის ფარგლებში ითვლებოდა სულ 431 სკოლა, რომლებშიაც 1096 მასწავლებელი და 38,015 მოწაფე იყო. საშუალო სასწავლებლების რიცხვი იყო 20; ამათში ირიცხებოდა 288 მასწავლებელი და 5,162 მოწაფე.

## შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნები

(გაგრძელება*)

**სინაის მთა. იტალიის ახალშენი ერიტერია. ქალაქი მასსაუ.**

დილით, მეორე დღეს, გემის მოსამსახურენი ბინოკლებით იხედებოდენ გემის მარცხენა მხარისაკენ.

ზღვაზე გემი არსადა სჩანდა; მაშასადამე, მათი ყურადღება ნაპირისაკენ იყო მიმართული, შორს ძლივს მოსჩანდა.

გამოკითხვით გავიგე, რომ იშვიათი წმინდი დილაა და სინაის მთა მოსჩანსო.

ამან მომაგონა ის დრო, როცა ჯერ კიდევ გიმნაზიის პატარა მოწაფე ვიყავი, არა ერთხელ და ორჯელ თავ ბრუ დაუხსნიათ აი სწორეთ იმ ადგილების გაზეპირებით, რომელიც ეხლა ჩემ თვალწინ იშლებოდა.

აქ იყო ის სიცრუით სავსე ადგილი, ვითომდა მოსემ ებრაელის ხალხი ღვთისაგან ორათ გაპობილ ზღვის პირზე გაატარა,—აქ იყო მთა სინაი, სადაც მოსემ ვითომდა მიიღო ღმერთისგან ათი მცნება, აქ იშლებოდა ის უდაბნო, რომელშიაც ბრაზ მორეული ღმერთის შურის ძიებით, ორმოცი წელი ეხეტიალებოდა ებრაელის ხალხი.

ბინოკლში საკმაო ნათლათ სჩანდა სინაის მთა და ნაპირები. რუქაზე დახედვით ას ორმოცდაათი კილომეტრზე მეტია ამ ადგილიდან, მაგრამ წვიმის და ღრუბლების არა მცოდნე ეს ადგილები, ნათლათ აჩვენებენ თვალს შორს მდებარე ადგილებსაც კი.

აი მიიმალა კიდეც ნაპირები და საშინელ სიცხით აპაპანაქებული ჰაერი უმოძრაოდ სუფევდა გარშემო.

მეოთხე დღეს ისევ გამოჩნდა ნაპირები პატარ-პატარა მარჯანა კუნძულები, აბესინიის მაღალი მთები და შუა დღისას ნელ-ნელა მასსაუს მივუახლოვდით. მშვენიერი ბუნებრივი ნავთ-სადგური უადვილებს გემს ნაპირზე მიდგომას.

შორიდან ლამაზ შთაბეჭდილებას ახდენს მგზავრზე მასსაუ, რამდენიმე პატარა კუნძულზე გაშენებულს და ერთმა ნეშორის შეერთებულს ბოგირებით.

ნაპირზე ჩამოსვლისთანავე პირველი შთაბეჭდილება ეკარგება ადამიანს და საშინელი სიბინძურე—სიმყრალე უხვდება წინ. ვიწრო—დამყაყებული ქუჩები, სავსეა ყოველივე შავ-კანიანების წარმომადგენლებით. ნუბიელები, ზანგები, სომაიალები, აბესინიელები, მალაიელები, თითქმის ტიტვლები მუშაობენ, როგორც პირუტყვები ერთ ჰანგზე გაბმულ სიმღერით.

აუარებელი გლახები, მშიერი, გამხდარი, ლატაკი ხალხი გარს ეხვევა უცხოელს, იმ იმედით, რომ პატარა სუ მათაც ერგებათ.

ქალაქში არ არის არც რიგიანი სასტუმროები, არც მაღაზია—რესტორანები. ყველგან სიჭუჭყე, საძაგელი სუნი აიძულებს ადამიანს მალე მოშორდეს აქაურობას.

მხოლოდ კუნძული, სადაც გაშენებულია ადმინისტრაციული დაწესებულებანი, ისევ კარგ გუნებაზე აყენებს მნახველს. ბანკი, ფოსტა, მმართველობის რეზიდენცია, სკოლა ყაზარმა და რკ. სადგური კოხტა სტილის ფეროვან შენობებს წარმოადგენს. ვიწრო რკინის გზის ლიანდაგი აერთებს ამ ნავთსადგურს ახალშენის ადგილებთან. დრო ნებას მაძლევდა და რამდენიმე საათით გავემგზავრე ახალშენის დასათვალიერებლად, მაგრამ ვერც იქ ვნახე შესაფერი გასახარელი. ყველგან ერთი და იგივე მუშების სიმღერა, სილატაკე, მყრალი სუნი, გასუქებული ბატონებია იტალიელები.

და მომაგონდა ამ მხარის არა-სასიხარულო ისტორია იმის შემდეგ, რაც გაერთიანებულმა იტალიამ ფრთები გაშალა, დაავიწყდა თავისი მონობა და სხვის მონობას მიჰყო ხელი!..

ბევრი ხარჯის, სისხლის ღვრის და წვალების შემდეგ იტალიამ მოიკიდა ფეხი აფრიკის ჩრდილო ნაპირებზე. მაგრამ მდაბლობ ადგილებში მალარია სულს უხუთავდა ყველა ევროპიელს და იტალიამ ნელ-ნელა შესდგა ფეხი აბესინიის მთების ფერდობებზე. დრომ თითქოს მთელი აბესინიის მფლობელობა ჩაუგდო იტალიის ხელში, მაგრამ ცუდათ იცნობდნენ „ევროპიელი იტალიელები“ თავისუფლების მოყვარე აფრიკის მთების არხივ აბესინელებს. მათ დაავიწყდათ, რომ არაბებს მხოლოდ აბესინია არ დაჰმორჩილდა ოდესღაც. როცა არამც თუ აზია და აფრიკა დაიპყრეს, არამედ თვით ისპანიის ბატონებათაც გახდნენ. მათ დაავიწყდათ, რომ აბესინელები თავის დღეში არავის არ უშვებდნენ თავიანთ მთებში და თუ თავიანთ შინაურ ცხოვრებაში ყურ-მოჭრილი მონები იყვნენ თავიანთ უხილავ მეფისა, ასეთივე არ იყო აბესინელების განწყობილობა გარეშე ძალის წინაშე.

რასაკვირველია, ძირითად დებულებად, პირადათ მე, ეროვნულ თვითშეგნებას კი არ უდებ აბესინელების მოქმედებაში, არა. ამისთვის მათ შეგნება ჯერ არა ჰქონდათ, უდებ ეკონომიურ პირობებს, რომელიც დაედო საფუძვლად იმ ტრაღედიას, იტალიელებს თავს რომ დაატყდათ აქ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს.

თავისუფლათ აღზრდილი ველური უფრო ნაკლებათ იტანს დამონავებას, ვიდრე მონობაშივე გაზრდილი ხალხი.

თუ ველურის შემეცნებაში ერი, თავისუფლება, სახელმწიფო და სხვა ასეთი კულტურული ორგანიზაციები თანამედროვე ცხოვრებისა, ცარიელ უმნიშვნელო სიტყვებია და იგი ვერც იაზროვნებს და ვერც გაიგებს, იგი თავისი ბუნებრივ ფსიხოლოგიით, ინსტიქტით ჰგრძნობს და მსჯელობს უფრო ადვილათ და მარტივათ.

მან არ იცის რა არის სამშობლო, მაგრამ როდესაც დაინახავს, რომ თეთრკანიანი უცებ აღუკრძალავს თავისუფლათ ნადირობას და ხილეულის მოკრეფას ჩასვამს ციხეში, ჩამოახრჩობს მის მოძმეს, მაშინ ველური ადამიანივე იგრძნობს თავისუფალ სამშობლოს მნიშვნელობას.

აი მაშინ ველური უცებ კულტურის მქონეც ხდება, ყოველივე სახელმწიფოებრივ შემეცნების მცოდნეც და თავისუფლების მოსიყვარულეთ და მაშინ უფრთხილდეს თეთრკანიანი, რომელსაც არ ესმის, რომ უსასჯელოდ არ ჩაუვლის მუქთა ყმის ჰაპან-წყვეტური მუშაობა, საშინელი ექსპლოატაცია ხალხისა და ეკონომიურათ ისე დამონავება, რომ ველურს ამოსუნთქვის ნებაც კი აღარ ჰქონდეს ხოლმე. თუ აქამდის ველური თავის გულუბრყვილო თვალებით კეთილად შეჰყურებდა თეთრ-კანიანების თარეშობას,—აქ იგი მხეცად იქცევა და მაშინ სისხლის ღვრა განუწყვეტელია იქამდის, ვიდრე ან თეთრ-კანიანი გაიქცევა, ანდა ველურის ხსენებაც აღარ იქნება მის მდიდარ ბუნების მქონე ქვეყანაში.

აი, ასეთივე იყო აბესინელების მდგომარეობა იმ დროს, როცა თავის „კულტურა“ შეიტანა იტალიამ ამ ქვეყანაში.

ძარცვა-გლეჯა, მონობა, თითქმის მუქთად მუშაობა შავ-კანიანებისა, მიწების წართმევა ვითომდა სახელმწიფოებრივ საჭიროებისათვის, ფაქტორებში გაბატონება მათრახისა და შმაგ მოქრთამე ჩინოვნიკებისა და საზოგადოთ იტალიისაგან უბრალო ახალშენურ პოლიტიკის უცოდინარობამ და ვერ შეძლებამ იმისა მიბაძავც კი, რაც მათი მეზობლები ახალშენის მმართველობაში გაწვრთნილი ინგლისელები აკეთებდნენ,—იტალია დააყენა ჯერ აჯანყებულთა წინაშე და მერე აბესინიასთან ომის წარმოების წინაშეც.

იტალიას გაგონილი ჰქონდა, რომ კოლონიალური ომი ველურებთან ამდიდრებს მეტროპოლიას, ჰბადებს ახალ მიდრეკილებას სახელმწიფოს მმართველობაშიო.

ახალგაზრდა იტალიის იმპერიალიზმმა აბესინიაზე იშიშვლა ხმალი და დიდი იმედებით ჰგზავნიდა იტალიელთა ახალგაზრდობას აბესინიის ველურ მთა-ტყეებში. მაგრამ ბედმა უმტყუნა იტალიის და მალე აბესინიამ ნათლად დაანახა მთელ ევროპას, რომ აფრიკელებსაც სული უდგათ ადამიანისა და მათაც არსებობა ჰსურთ, როგორც ევროპიელებს.

აბესინის აჯვირთებულმა ხალხმა მენელიკის თაოსნობით, არამც თუ გასდევნა იტალიელები აბესინიდან, არამედ აბესინიის გარეშეც სდევნა და ზღვის ნაპირას დაბლობებში მიამწყვდია.

ჯერ იტალიამ თავი არა სცნო დამარცხებულათ, მაგრამ დაბლობებში სიცხემ და მალარიამ ისეთი დღე დააყენა იტალიის ჯარს, რომ არამც თუ შეტევის თავი, არამედ სახლში დაბრუნების თავიც აღარ ჰქონდა. მაშინ კი იკადრა იტალიამ და შეჰკრა ზავი აბესინიასთან, რომლითაც იტალიამ სამუდამოთ აიღო ხელა აბესინიაზე, და აი ამ პატარა ვიწრო ნაპირ ადგილზე დააკმაყოფილა თავისი იმპერიალისტური მადა გარეშე აბესინიის ტერიტორიისა, რომელსაც ეხლი ერიტერია ეწოდება. ამ ომმა დიდი უკმაყოფილება დაჰბადა თვით იტალიაში და დიდ ხნობით მოისპო აქტიურ კოლონიალურ პოლიტიკის წარმოების მადა და მხოლოდ მეოცე საუკუნეში, ტრიპოლიტანიაში აახმაურა ისევ თავისი ზარბაზნები და დასდგა თავისი სახრჩობელები იტალიის იმპერიალიზმმა აფრიკანელების წინააღმდეგ!..

უბრალო თვალის გადახედვით მგზავრს შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, რომ იტალიელებს არ ძალუძთ ახალშენის მმართველობის მოწყობა, რომ მათთვის ახალშენის ცხოვრება და არსებობა გაუგებარი მეცნიერებაა და ყველა მათი ცდა ამ მხრივ მხოლოდ უბედურ ადგილობრივ მცხოვრებლებზე ტყუილი ვარჯიშობაა.

უნდა აღვიარო, რომ მათ არ აქვთ არც ინგლისელების შნო, არც ინგლისელების ენერგია-ჯიუტობა, რომ იტალიელები უვიცები არიან ამ საქმეში და წვალება-მონობის მეტს არას აძლევენ თავიანთ „კან ფეროვან ქვეშევრდომთ!..

ისე კი მდიდარი მდებარეობა, გზა შიდა აფრიკისკენ, მილიონობით ნებიელები, ზანგები და სხვანი, ნაყოფიერი მიწა აძლევს ადამიანს ნებას იფიქროს, რომ აქ შეიძლებოდა აყვავებულიყო ქვეყანა იგი, არა მონა, არამედ კულტურული ხალხის სამშობლოთ გამხდარიყო.

ტყავეულობა, მატყლი, სხვადასხვა ხმელი ხილი, შაქარი და ბევრი საჭირო საგანი გადის აქედან ევროპისაკენ. განუწყვეტელი აქლემების ქარავანი მიიზლაზნებიან შორეულ შიდა აფრიკის ქვეყნებისაკენ.

შუა დღისას „აფრიკამ“ იღრიალა და ისევ ზღვას გავიდა.

ეხლა კი პატარა გადასავალი გვქონდა. სულ 446 მილიადენამდის.

**წითელი ზღვა. ბრიტანიის ხელი ზღვის დიდებულ გზაზე. ადენი.**

საშიშს გზას წარმოადგენს წითელი ზღვა მეზღვაურთათვის. თუ არა სუეცის არხი, რომელიც ასე საუცხოვოთ აახლოვებს აღმოსავლეთს, არა მგონია მეზღვაურნი ასე დაბეჯითებით ზომავდნენ მის ზვირთებს, როგორც ეხლა. ორივე მხრივ, როგორც დასაწყისში აგრეთვე ბოლოში, წითელი ზღვა სავსეა იმ პატარა კუნძულებით, ზღვის ქვეშა კლდეებით და გორებით, რომელიც გაორკეცებულ სიფრთხილეს ითხოვს მეზღვაურისაგან, რომ გემი არსად არ დაეხალოს ან არსად გვერდზე არ გაიტეხოს.

მიზეზი ამისა ორნაირია. პირველი გამუდმებული პატარა უჩინარი, მაგრამ გასაოცარი „ხმელეთის ამშენებელი“ პირუტყვი მარჯანი (კორალი).

საუკუნოებით, გამუდმებით, იბადებიან, კვდებიან და ისევ იბადებიან ეს ზღვის სულდგმულნი, თითქოს არა არსება, რადგან მოკლებულნი არიან მოძრაობას და ერთ ადგილს მიკედლებულნი არიან, მაგრამ ცოცხალნი, რადგან იკვებებიან და მრავლდებიან ისეთივე კანონების ძალით, როგორც სხვა ზღვის პირუტყვნი.

ამავე კანონების ძალით, მარჯანი თავის სიცოცხლის შემდეგ სტოვებს ჩონჩხს კიროვანი ქვასავით ხის ტოტის მსგავსს, რომელიც ხდებიან ბუდეთ ახალ თაობისა და ასე საუკუნოების განმავლობაში, ამ თავიანთი ცხოვრებით და სიკვდილით ისინი აშენებენ მთელ გორებს, კუნძულებს, რომელნიც არამც თუ გაუვალი ხდება გემებისათვის, არამედ ხედ ნელ-ნელა გროვდება მიწა, შერე იზრდება ბალახი და დაბურულ ტყით იფინება. უმეტეს წილათ ასეთი კუნძულები ცხენის ნალსა ჰგავს და შიგ ტბა რჩება პატარა გასავალ კარებით. ასე რომ მეთევზეებისათვის საუცხოვო საცხოვრებლათ ითვლება და ველური მცხოვრებნი სიამოვნებით ბინადრობენ ასეთ ადგილებზე.

აი ამ პირუტყვის გამო, მთელი წითელი ზღვა და საზოგადოთ ცხელ ქვეყნების ზღვები სავსეა ასეთ უჩინარ და ზღვითა კუნძულებით, რომელიც ყოველთვის გაბმულ მახეს აგონებს მეზღვაურს და ფთხილ გაზომილ მსვლელობას მოსთხოვს გემის უფროსს.

ამას ზედ ერთვის ქვიშის, მტვრის

*) იხ. „ერთობა“, № 139.

ბურუსი რომელიც უდაბნოებიდან მოაქვს ქარს, და თითქოს ჰაერში სდგას ერთ ადგილს და დღისითაც კი ცუდათ სჩანს გზა და ღამე ხომ სულ არაფერი არ მოსჩანს.

აი იქ, გზის გასაადვილებლათ, ამ დიდებულ სამგზავრო-საბარგო გზაზე, ინგლისელების მეოხებით და მათ დაუშრეტელ ენერგიის წყალობით, შექმნილია მთელი სისტემა, რომელიც ყველა საშიშ ალაგს თავის მნათობ თვალით აფრთხილებს გემის უფროსს და სწორ უშიშარ გზას აჩვენებს.

აღსანიშნავია ის, რომ ყველა ასეთი სისტემა აშენებულია პატარა უწყლო, ძლივს დისანახავ ზღვის ტალღებიდან კუნძულებზე და ყველა ასეთ სადგურს ჰყავს მუდმივი დარაჯი, რომელიც სცხოვრობს ასეთ კუნძულზე და ყოველღამე ანთებს მზის თვალს. რამდენი მოთმინება, რამდენი ძალა უნდა ჰქონდეს ან ამის ამშენებელს, ან მათ ვინც კისრულობენ აქ ცხოვრებას! ზღვის ტალღების და მხურვალე მზის მეტი ახლო არ უდგება არავინ და მხოლოდ დანიშნულ დროს, კვირაში ერთხელ მოადგება გემიდან ნავი, რომელიც დაუტოვებს მოსამსახურეს საჭირო წყალს და სანოვაგეს.

მე უკვე ვიცი, უმეტესი წილი ასეთ ზედამხედველობისა, ადგილობრივი შავკანიანები არიან. ვიცი ისიც, რომ არის ძალა, რომელიც მათ განაგებს და რომელიც უპატრონებს ამ მეზღვაურთა იმედის თვალხებს და უნებლიეთ მებადება აზრი—რა დაემართებოდა ევროპას და ამ დიდებულ გზას, თუ ერთ დღეს ინგლისი ისეთივე მდგომარეობაში ჩავარდა, როგორშიაც დღეს რუსეთს ვხედავთ და უნებლიეთვე ვაღიარებ, რომ მაშინ ევროპა მშიერ-მწყურვალე მღაღადებელი დარჩება აზიის წინაშე და იქნებ ევროპის კულტურა დაიღუპოს კიდეც ამის მეოხებით... მაგრამ, ვფიქრობ, რომ თუ საქართველო მიხვდა ამას და უკუაგდო რუსეთის რევოლიუციის გზა და ისევ ევროპის ძალთა განწყობილობაზე დამყარებული რევოლიუცია არჩია,—მით უმეტეს მიხვდება დიდი ბრიტანეთის პროლეტარიატი და რევოლიუციის იმ გზას აირჩევს, რომელმაც იხსნა საქართველო და რომელიც მთელ კაცობრიობასაც იხსნის.

გემი მისცურავს. ღამეა, მაგრამ ხან წინ, ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ ჩნდება მზის თვალი, უეცრათ გააშუქებს, მერე მიჰქრება, კიდევ გააშუქებს, კიდევ გაქრება, ასე განუწყვეტლივ და მგზავრი მშვიდათ მიდის კაბინში დასაძინებლათ, რადგან იცის, რომ მის გზას ჰყავს მუდმივი ფხიზელი დარაჯი...

მეორე დღეს გათენებისას მივადექით ინდოეთის ოკეანის გასაღებს დასავლეთიდან.

მშრალი, ხრიოკი, თითქოს მიუდგომელი მწვერვალნი, უდაბნო ადგილი გარშემო, ათწლობით უწვიმო ამინდი—აი ადენის სურათი.

მაგრამ სტრატეგიულ მნიშვნელობის გამო, ინგლისმა ეს ხრიოკი ადგილი გაასუფთავა, კლდე ჩამოანგრია, ფორტები და ზღუდეები ააშენა და ერთ-ერთ მიუდგომელ სანაპირო ციხეთ აქცია. ნელ-ნელა ვიწრო სანაპირო ალაგებში ქალაქი გაშენდა, შიდა ქვეყნებიდან იწყო წანწალი ბოგანო დამშეულ ხალხმა, რომელიც მუშაობს ქვანახშირის გადმოტვირთვა-დატვირთვაზე ეხლა ადენი კოხტა სუფთა ქალაქია, სადაც მოქანცული ზღვის გზით მგზავრი სიამოვნებით ისვენებს იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, რომელიც მის განკარგულებაშია. მიდამოებში მგზავრს შეუძლიან ნახოს წყლის შესანახი აუზები კლდების მაღაროებში გაკეთებული, ახალშენი, ქვა ნახშირის სადგური, აზიური გაშლილი ბაზარი და სირაქლემის ფრთების სავაჭროები. მეტი არაფერია ამ მზისგან ამომწვარ ადგილებში, მაგრამ ეს ხრიოკი ადგილი უფრო კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მგზავრზე ვიდრე მასსაჟი.

შუადღისას გემი მზათ იყო- პირდაპირი ხაზით მთელი ცხრა დღე უნდა განუწყვეტლივ ევლო „აფრიკას“, რომ გადაელახა ინდოეთის ოკეანე, მუდმივ ქარიშხლებისა და სიცხეების ბუდე.

მგზავრები შავ ფიცრისაკენ ეშურებოდნენ, რომელზედაც ეწერა: 2096 მილი კოლომბომდის. გემი დაიძრა. ეხლა კი მართლაც შევდიოდით ზღაპრულ-მიმზიდავ, ოცნებასავით მტაც, ლამაზ, ყველა საუნჯეთა მქონე, უძველეს კულტურის და მეცნიერების სამფლობელოს საქართველოს ნამდვილ აკვანის სამოთხეს აღმოსავლეთს!..

ნავებიდან კივილ-ყივილით გვემშვიდობებოდნენ შავ-კანიანები.

(გაგრძელება იქნება).

**დათიკო ივ. როსტომაშვილი.**

ინდოეთის ოკეანე. გემი „აფრიკა“
5 აპრილი 1920 წ.

## მუშათა შორის

**გორი.** მე მინდა მოვაგონო გორის ამხანაგებს, რომ ჩვენ გვქონდა აქ რამოდენიმე კავშირები დაარსებული და მართლაც კარგათ იყო საქმე დაყენებული. წევრებიც ბლომათ გვყავდა; მაგრამ, საუბედუროთ, ამ საშინელმა მიწის ძვრამ ძლიერ დაგვწია უკან და წევრებიც შემოგვეფანტა, ბევრი ჩამოგვშორდა წავიდ-წამოვიდა იქეთ-აქეთ და, რა თქმა უნდა, კავშირებიც თავის-თავათ დაიშალა. ეხლა კი ყველანი ნელ-ნელა ბრუნდებიან გორში და შეუდგენ თავიანთ საქმეებს. ამიტომ, მე მგონია, ჩვენც რომ, შეუდგეთ მუშაობას და კავშირების ფეხზე დაყენებას, ურიგო არ იქნება. მოდიან ჩემთან ზოგიერთი კავშირის წევრები და საყვედურით მომმართავენ ხოლმე, რა ჰქენით აღარ უნდა მოაწყოთ ისევ გორში კავშირიო? საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას თვით იმ კავშირების ხელმძღვანელებმა და ისევ აღადგინონ ის კავშირები.

ამასთანავე მოვაგონებ ამხანაგებ, რომ ჩვენ მოგვდიოდა გორში ჟურნალი „მუშათა ცხოვრება“ გასავრცელებლათ.—ვსთხოვ იმ ამხანაგებს, ვისაც კი ჰქონდა ხსენებული ჟურნალი დაკვეთილი, გაასწორონ ანგარიშები, რომ შეძლება მექნეს ჩავაბარო „მუშათა ცხოვრების“ რედაქციას ფული და შემდეგშიაც შევუწყოთ ხელი მის გავრცელებას.

**ტანჯული ქალი.**

**ხელზე იოსამსახურეთა და მზვარეულთა კავშირში.** ნათქვამია—„უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო“; ასე სჭირს თფილისის ერთ ერთ კავშირს, ხელზე მოსამსახურეებს და მზვარეულებს, ყველა რესტორან-კლუბებში მომუშავეებს.

ზემოხსენებულ კავშირში უმთავრეს ნაწილათ ქუთაისის, რაჭის, ოზურგეთის მაზრების წარმომადგენელნი შედიან,—იმ მაზრის, რომელნიც „ნიკოლოზის“ დროს ყველაზე უფრო დევნილნი იყვნენ. ხელზე მოსამსახურეთა კავშირი ჯერ კიდევ 1902 წლიდან შეუდგა თავის ორგანიზაციულ მუშაობას; წევრები ეწეოდნენ პროპაგანდას როგორც პროვინციაში, ისე ქალაქათ, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მასსაზე. აქ ძველათვე შემოიღეს პროცენტული გადასახადი ვინაიდან მწარმოებელი მუშას ჯამაგირით არ აკმაყოფილებდა უკანასკნელათ ეს საჭირო არ იყო ვინაიდან სატარიფო პალატის მეოხებით ტარიფი ყველგან ცხოვრებაში ტარდება

18 აპრილიდან მთავრობის განკარგულებით ღამის 11 ს. იხურება ყველა დაწესებულებები, კლუბები და რესტორანები; რასაკვირველია პროფ. კავშირს ამან დიდი ზიანი მიაყენა, ვინაიდან მუშებს დღეში 4 ს,მუშაობა მოაკლდათ. განსაკუთრებით გაჭირვებაში ჩავარდნენ კერძოთ კლუბებში მომუშავე წევრები ვინაიდან დღისით ისინი არ მუშაობენ, ხან ღამით ერთი საათის პროცენტი უმნიშვნელოა. ამიტომ კავშირის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სეკრეტარიატის წინაშე, რათა სეკრეტარიატს მიეღო სათანადო ზომები. 16 მაისს სეკრეტარიატმა განიხილა გამგეობის შუამდგომლობა და საჭიროთ სცნო კლუბები პირველ საათამდე და რესტორანები თორმეტამდე ყოფილიყო ღია. ამ დადგენილებას დიდი თანაგრძნობით შეხვდა ქალაქის მოურავი ბ. ბ. ჩხიკვიშვილი. მან ჩვენი დელეგაციის წინაშე სათანადო თხოვნა გაუგზავნა შინ. საქ. მინისტრს. ჩვენ დიდი კმაყოფილი დავრჩით, ვინაიდან გვეგონა მუშათა ცენტრი და ქალაქის თავი დიდ გავლენას იქონიებდნენ სადაც ჯერიყო. მაგრამ აგერ ორითვე გადის და ამ კავშირს არავითარი შველა არ აქვს. ყველა დაწესებულებებიდან მოდის ცნობები შტატის შემცირების შესახებ მიუხედავათ იმისა, რომ კავშირმა უნდა გაგზავნოს უმუშევრება სეზონში სამუშაოთ. მუშები უკიდურეს მდგომარეობაშია. საჭიროა სეკრეტარიატის გადაწყვეტილება საჩქარ.ოთ იქმეს განხორციელებული. 1 საათის ვაჭრობის მომატებაც კი დიდ ხიფათს აცდენს თავიდან ზემოხსენებულ კავშირს და დარწმუნებული ვართ, რომ ერთი გინდ ორი საათით ვაჭრობის გადიდება არავითარ ზიანს არ მიაყენებს ჩვენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას.

**ბ. ქარსელაძე.**

## მეტი ყურადღება

თფილისი საქართველოს დედა-ქალაქია, სწორეთ ამისთვის უნდა მიექცეს მას დიდი ყურადღება. დღეს ეს ასე არ არის. ჩვენ ვხედავთ, რომ ქუჩებში მტვერია. ამავე დროს იქვე იყიდება ბალი, ალუბალი, ალუჩა და სხვ. მტვერი რასაკვირველია, ზედვე ეკიდება ხილს. მაგრამ მოქალაქე არ უწევს ანგარიშს ამას, ყიდულობს ხილსა და სჭამს. ამას შეუძლია გამოიწვიოს და გაავრცელოს ავათმყოფობა.

გარდა ამისა, თუ გაგივლიათ ალექსანდრეს ბაღში, თქვენ შეამჩნევდით ჯარისკაცებსა და ზნე-დაცემულ ქუჩის მეძავ ქალებს. ასე რომ იქ მოსასვენებლათ მოქალაქეს არ შეუძლია წასვლა. ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ამას შეუძლია გამოიწვიოს ჯარისკაცთა დასნეულება. თუმცა ადმინისტრაცია ცდილობს ასეთ ქალების ალაგმვაზე, მაგრამ დადებით შედეგებს, სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით ვერ აღწევს. საჭიროა ყველა ამაებს ამ თავითვე დიდი ყურადღება მიექცეს, თორემ შემდეგ შეიძლება გვიან იყოს...

**ნიკ. კოპალაძე.**

## პროვინცია

**ხოფ ქვაყუდე** (ქუთაისის მაზრა). 25 წელიწადზე მეტია, რაც აქ არსებობს ერთკლასიანი პირველ დაწყებითი სკოლა. ამა წლის თებერვალში აქ დაინიშნა სამაზრო ერობიდან ერთი მასწავლებელი—აკაკი ერასტის ძე ჯიბუტი. მაგრამ ეს მასწავლებელი ზნეობრივად თავისი თანამდებობის შესაფერი არ გამოდგა. აპრილში მთელი სკოლის ბიბლიოთეკის წიგნები დაყიდა თავის სასარგებლოდ; როგორც შემდეგ გამოირკვა, რამოდენიმე წიგნები სახევ ქაღალდის ფასად მიუყიდნია საჯევახოში მოვაჭრე ძმებ თ—ძეებისათვის. ეს გაიგო გამოჩინებულის თემის მილიციის უფროსმა—ანდ. შანიძემ და რამოდენიმე წიგნი უკვე ჩამოართვა ხსენებულ ვაჭრებს, ხოლო ნახევარზე მეტი, სად წაიღო აღნიშნულმა მასწავლებელმა, ვერ გავიგეთ. ჯიბუტი გამოტყდა თავის დანაშაულში და განაცხადა: წიგნები გავყიდე მე და ავიღე ფასად ოთხას ორმოცდა ათი (450 მან.) მანეთიო. მილიციის უფროსმა შეუდგინა მას სათანადო ოქმი და საქმე მასწავლებითურთ გადასცა სამტრედიის უბნის მომრიგებელ მოსამართლეს.

„**მიმომხილველი**“.

**სოფ. ახალქალაქი** (გორის მაზრა). 9 ივნისს ახალქალაქს ესტუმრა დამფ. კრების წევრი ამხ. ცაბაძე, რომელმაც ამავე საღამოს ადგილობრივ კლუბის „ინტერნაციონალის“ დარბაზში გააკეთა ვრცელი მოხსენება საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე 1905 წლის მოძრაობიდან დაწყებული დღევანდლამდე. ლექციას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მოხსენების შემდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ახალქალაქის საზოგადო კრებამ დამფ. კრების წევრის ცაბაძის მოხსენება მომენტზე, სალამს უძღვნის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და უსურვებს მათ გამარჯვებას, ახალქალაქის თემის დემოკრატია იმყოფება მუდამ მთავრობასთან განუყრელათ და დაიცავს მთავრობას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“.

შემდეგ ამავე კრებაზედ მოხდა არჩევნები ფრონტის დამხმარე კომიტეტისა, კომიტეტში წევრებათ აირჩიეს ხუთი კაცი და სარევიზიო კომისიაში 3 კაცი.

**გარეული.**

**ჩხოროწყუს თემი.** სამეგრელო, როგორც მივარდნილი კუთხე საქართველოსი, მუდამ გაუნათლებლობის წყვდიადში იყო გახვეული და დღესაც ვერ გასცილებია იგი ამ უმეცრებას.

სამეგრელოს ზოგიერთ მცხოვრებლებს დღესაც არა აქვს გათვალისწინებული, თუ რა საზიზღროებას წარმოადგენს ძალდატანებით ქალის მოტაცება. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა ჭოლის თემში. 20 მაისს დღისით ჭოლის თემის მცხოვრებმა ქარჩავამ შეიარაღებული ძალით, დაქირავებული ყაჩაღების თანხლებით სოფ. ნაკიფუში მოიტაცა წინააღმდეგ ქალიშვილის და მშობლების სურვილებისა ს. კვარაცხელიას 15 წლის ქალიშვილი მშობლებითურთ და გარეშე პირებიც ხუთ კაცამდე, რომლებიც იმ დროს შემთხვევით შეხვდათ კვარაცხელიას სახლში. ცნობის მიღების უმალვე ჩხოროწყუს უბნის მილიციის უფროსმა ვანო ცხონდიამ მილიციელების თანხლებით გაეშურა ს. ჭოლაში ზომების მისაღებათ, ზემორე აღნიშნულ მილიციის უფროსმა მეხუთე დღეს ს. კურზუში მონახა პირველად მარტო ქალი, ხოლო შემდეგ შეპყრობილ იქნა მომტაცებელი ქარჩავაც. საქმე გადაეცა უმაღლეს მთავრობას.

**ქანი.**

**გორის მაზრა.** გორის მაზრა რევოლიუციამდე და უდიდეს რევოლიუციონურ აგრარულ რეფორმამდე ნამდვილი ბატონ-ყმური, ფეოდალური მაზრა იყო; კიდევ მეტი: მიუხედავათ იმისა, რომ რევოლიუცია აგერ უკვე მეოთხე წელია მოხდა,—ჯერ ვერც ნაყმობი-გლეხი და ვერც ყოფილი მემამულე-ბატონი ვერ შეგუებია ამ უდიდეს სოციალურ აქტს. ეს ადვილი ასახსნელია: ჩვენი რესპუბლიკის არც ერთ მხარეში არ იყო ისე ძლიერი ფეოდალიზმი, როგორც გორის მაზრაში; თითქმის მთელი მამულები მათ სამფლობელოს შეადგენდა, მთელი სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვრები, ტყეებიც მათი იყო ასე გასინჯეთ მდინარეებით სარგებლობის უფლებაც კი მათი იყო და ისინიც ყოველგვარ საშუალებით ცდილობდნენ ამ უპირატესობის შერჩენას. მოიგონეთ მათი შეიარაზმული გამოსვლები, შავი რაზმები და სხ. მემამულეს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი ამა თუ იმ გზით მამულის, მთელის თუ არა, ნაწილის მაინც უკან დაბრუნებისა, რასაც სამწუხაროთ ზოგჯერ მახინაციებით ახერხებენ კიდეც და გლეხს კი ჯერ არ მისცემია, საბოლოოთ იმედი, რომ შერჩება მიცემული მამული.

გორის მაზრაში აუარებელი მიწა-ადგილებია სახელმწიფო ფონდში გადასული და მგონი, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ რესპუბლიკის არც ერთ მაზრაში არ იქნება იმდენი საფონდო მამულები, რამდენიც გორის მაზრაშია. ამ მამულებიდან მიუხედავათ იმისა, რომ ძალზე გვიან იქმნა დაწყებული 1919 წლის მოსავლიდან მეათედების აკრეფა და ბევრი ხელის შემშლელი დაბრკოლებანიც გადაელობა, მაინც საკმაოთ მოიკრიფა სურსათი. სამაზრო ერობის ხელმძღვანელობით, ადგილობრივი თემების დახმარებით და გამოცდილ პირთა მეოხებით მოსავლიდან მეათედეს სახით მოიკრიბა.

| | | | |
|---|---|---|---|
| პური . . . . . | 15,559 ფ. | და 9 გირ., | |
| ქერი . . . . . | 2,027 „ | „ 27 „ | |
| ქერი . . . . . | 14,076 „ | „ 6 „ | |
| სიმინდი . . . | 6,939 „ | „ 9 „ | |
| შვრია . . . . | 205 „ | „ 13 „ | |
| უგრეხელი და კარტოფილი | 104 „ | „ 26 „ | |
| ს უ ლ | 38,952 ფ. | 10 გირ. | |

აქედან მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაეგზავნა, თუ მის მიერ ნაჩვენებ პირებს გადაეცა 24,610 ფ. 5 გ. დარჩა გორის სამაზრო ერობის განკარგულებაში სულ 14,342 ფ. და 5 გირ., რომელიც დაურიგდა ადგილობრივ ღარიბ მცხოვრებს ზოგი სათესლეთ და ზოგიც საზრდოთ, ზოგს მოსავლამდე ზოგს ძალზე მცირე ფასათ.

**ი. ქუტირელი.**

## წერ. რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის მე-140 ნომერში მოთავსებულია ბ. ვლ. ჯაველიძის წერილი რედაქციის მიმართ—საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა წლიურ კრების შესახებ, რომელმაც, ადვილი შესაძლებელია, მკითხველი საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს.

ჩვენ, როგორც პრეზიდიუმის წევრთ ამ კრებისა, საჭიროდ მიგვაჩნია სინამდვილის აღსადგენად განვაცხადოთ შემდეგი: წითელი ჯვრის საზოგადოების პირველ კრებას დაესწრო 67 წევრი და არა 60, როგორც ამას სწერს ბ. ჯაველიძე. იმ 67 წევრში, გამგეობის წევრი და მათი კანდიდატები გახლდათ 8 პირი, სარევიზიო კომისიის და მათი კანდიდატები 4 პირი, დანარჩენი კი უბრალო წევრები საზოგადოებისა, რომელთა შორის 29 პირი იყო არა მოსამსახურე.

სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნულ იქნას, რომ კრების მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო.

როდესაც ბ. ჯაველიძის მიერ წამოყენებულ საკითხს, კრების შემდეგ დროისთვის გადადების შესახებ თავმჯდომარემ უყარა კენჭი,—გადადების მომხრე აღმოჩნდა 16 პირი, წინააღმდეგი 19 და ორმა თავი შეიკავა.

ამ გარემოებამ ბ. ჯაველიძეააშფოთა და მან მოითხოვა ფარული კენჭის ყრით გადაწყვეტილიყო ამ საკითხის ბედი, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი კამათი. კამათის დროს, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ კრების მოწვევა მოხდა კანონიერს პირობებში: კრების მოწვევის შესახებ გამგეობას 10 დღის წინ განცხადება დაუბეჭდია თფილისში არსებულ ხუთ უმთავრეს გაზეთში და კრების დღეს კი მხოლოდ სამს გაზეთში: „ერთობაში“, „სახალხო საქმეში“ და „ბორბაში“. ფარული კენჭის ყრის შედეგი ამგვარი იყო: კრების გარგრძელების მომხრე გახლდათ—29 პირი, წინააღმდეგი—28, ორმა თავი შეიკავა და სამი ხმაც საეჭვოდ იყო ცნობილი.

ამ რიგად კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 62 პირმა. თუმცა ბ. ჯაველიძე კატეგორიულად ამტკიცებს, რომ სხდომას 60 წევრი დაესწროვო.

რაც შეეხება რეზოლიუციის მიღების საკითხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ რეზოლიუცია მიღებულ იქნა ხმის უმრავლესობით—37 ხმით და, ცოტა არ იყოს ახირებულია ბ. ჯაველიძის მტკიცება, რომ კრებას გამგეობის მოხსენება საზოგადოების წლიურ მოქმედების შესახებ არ დაუმტკიცებიაო.

თავმჯდომარე **ნიკო თავდგირიძე.**
მდივანი **კოკი აბაშიძე.**

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ქუთაისის რკ. გზ. სადგურის უფროსს ბ. ღვამიჩავას იმ დახმარებისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა ქუთაისის რკ. გზ. სასწავლებელს ექსკურსიის მოწყობის საქმეში.

სასწავლებლის გამგე **ა. ალფაიძე.**

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ამ დღეებში გამოვიდა პირველი ტომი **ნოე ჟორდანიას** ნაწერებისა, რომლის გამოცემა იკისრა „ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობამ.“ ჩვენ გვინდა პატივცემულ მკითხველის და გამომცემლობის ყურადღება მივაქციოთ წიგნის ტეხნიკურ მხარის ნაკლულოვანებაზე. გარეგნული შეხედულებით წიგნი კარგა მოზრდილია და თითქოს ამართლებს იმ ფასს, (100 მან.), რაიც გამომცემლობისაგან არის დაწესებული. მაგრამ საკმარისია წიგნის გადაფურცვლა, რომ მკითხველი დარწმუნდეს სრულ წინააღმდეგში. პირველ ყოვლისა წიგნი აწყობილია ეგრეთ წოდებულ „ვენის ასოთი“, რაიც რა თქმა უნდა ბევრათ მეტ ალაგს იჭერს უკანასკნელ ხანებში შემოსულ შრიფტთან შედარებით. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. წიგნის სიგრძე შეიცავს 12 კვადრატს, ხოლო სიგანე კი ერთი კვადრატით ნაკლები აქვს იმაზე, რაც მის სიგრძეს შეეფერება. ამას გარდა 12 კვადრატიან სიგრძის წიგნში თითო გვერდზე მოთავსებულია მხოლოდ 29 სტრიქონი, მაშინ როდესაც თამამათ შეიძლებოდა მოთავსება არა ნაკლებ 33 სტრიქონისა, და თუ ვიანგარიშებთ 330 გვერდზე რასაც წიგნი შეიცავს, ოთხ-ოთხ სტრიქონს, ეს შეადგენს 1320 სტრიქონს, ესე იგი $45^1/_2$ გვერდს, ასე რომ, იმ სივრცეზე, რომელიც წიგნს აქვს, შეიძლებოდა კიდევ 45 გვერდის ოდენა ტექსტის ჩამატება და ეს არც ისე ცოტაა. განზრახულია 15 ტომის გამოცემა, მაშინ როდესაც თამამათ შეიძლება ასეთი 15 ტომი, როგორიც 1 ტომია, თამამად შე[illegible]ლება მოთავსდეს 12 ტომში.

საქართველოს მუშათა კლასი დიდი სიხარულით შეხვდა მისი დიდი მასწავლებლის ნაწერების ერთად გამოცემის იდეიას. ეს ნაწერები მუშათა კლასისათვის ძვირფასი განძი იქნება და ამიტომ გამომცემლობა მოვალეა ამას ანგარიში გაუწიოს და შემდეგში მაინც მკითხველს მიაწოდოს ისეთი ტომები, რომელიც ტეხნიკურის მხრით სრულათ დააკმაყოფილებს წიგნის შინაარსის მაღალ ღირსებას.

**ხ. ელიაძე.**

## განცხადებანი


**დამაარსებელი და გამგე ყოფილი სრულუფლებიანი**

**გიმნაზიის**

ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს სექტემბრისთვის მოსამზადებლად: 1, 2, 3, 5, 6, 7 კლ. შესასვლელად გიმნაზიაში, რეალურ-კომერციულ, უ. პ. დ. სამიწისზომო, სამხედრო და სატეხნიკო-სასწავლებელში, აგრეთვე „გამოცდებს“: მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: 9—11 ს. 4—6 ს. პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქ. № 5) ერთი მოწაფე მიიღება სრული „პანსიონით“. (2021 8—3)

**ჭანიშვილი**
**არჩილი მიხეილის ძე**
გიმნაზისტი, 18 წლის, მარჯვენა ხელზე ორი თითი აკლია, გავიდა სახლიდგან 9 აპრილს ა. წ. და აქამდის არ დაბრუნებულა, თუ ვინმემ იცის მისი ყოფნის ადგილი, გთხოვთ გვაცნობოთ—გოგოლევის ქუჩა, № 64, ი. ბ. თოდუა. (2055—3—1)

**მეწაღის იარაღები**
ვისაც უნდა ისწავლოს მეწაღეობა, იმათ არ უნდა დაივიწყონ
**სახელოსნო პატრიკიანისა**
სადაც იშოვება სრული კომპლექტი იარაღებისა. იკითხეთ: „სერებრიანი რიადი“ № 37, ტ. ი. პატრიკიანი, (2040 3—1)

**რკინის აკვანი**
ახალი, ლამაზი და იყიდება იაფათ, იკითხეთ: „სერებრიანი რიადი“ № 37, პატრიკიანცი. იქვე იშოვნება საგზაო კალათი, ვღებულობთ დაკვეთას და შეკეთებას. (2039 3—1)

**იყიდება**
**საკერავი მანქანა-შკაფი**
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

დოქტორი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი **ივ. გოკიერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 -თ.

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3 მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ზ. უ. ალასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე [illegible]
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი
**გ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **მ. ა. ზაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი
**ნ. ლ. ცურიაშვილი**
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
**ა. ლევენშტეინი**
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

**ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი
**კ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
**ე. მ. მძინარიშვილი**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში, მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. № 22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი
**ნ. მ. ბაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

კანტორა **მ. ლ. ლიუბლინსკისა**
დიდი მთავრის ქ., 34. ტელეფონი 15—40.
დაუთმობს სასოფლო საზოგადოებებს და მეურნეებს მალინოვის კანაფს ძნის შესაკრავ „სინი კოლოკოლის“ მარკისას.
კანაფი საწყობებში განსაზღვრული რაოდენობისაა. (2047—2—1)

კვირას, 27 ივნისს, დილის 11 საათზე,
**ორთაჭალის მუშათა კლუბის გამგეობის**
მიერ გაიცემა
**საჯარო ვაჭრობით**
**კლუბის ბაღის ბუფეტი.**
ვაჭრობაში დაიშვებიან მხოლოდ სპეციალისტები—ბუფეტის საქმის მცოდნენი. პირობების გაცნობა შეიძლება კლუბის მეორე განყოფილებაში, ბებუთოვის ქ., № 22, დილის 10—12 საათ. და საღ. 5—7 საათ. (2058—1—1)

**რესპუბლიკის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის საბჭო კვირას 4 ივლისს დილის ათ საათზე იწვევს კავშირის წევრთა საერთო კრებას.**
განსახილველი საკითხები:
1) გამგეობის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა მდგომარეობა რესპუბლიკაში.
4) საპროტეზო სახელოსნოს მდგომარეობა.
5) საერთაშორისო ინვალიდთა ყრილობა და რესპუბლიკის დასახიჩრებულთა კავშირი.
6) კავშირის პოზიცია თფილისში დაარსებულ სოციალურ დახმარების (ყოფილი საზოგადოება „კოპეიკი“) საზოგადოების მიმართ.
7) „ინვალიდთა სახლის“ კავშირზე საკუთრებათ გადმოცემის საკითხი.
8) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
9) წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა.
10) სარევიზიო კომისიის და საამხანაგო სასამართლოს წევრთა არჩევნები.
11) მიმდინარე საკითხები.
კავშირის წევრთა დასწრება სავალდებულოა.
**კავშირის საბჭო.** (2060—1—1)